ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 9 ივლისი, 2013 | №160 (6161) | ფასი: 30 თეთრი

9 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი

დატოვებს თუ არა არჩილ კბილაშვილი პოსტს

მთავარი პროკურორი ბიძინა ივანიშვილს დღეს გასცემს პასუხს

გვ.3

საკაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მინისტრის საქციელს გმობს გვ.7

ანი მიროტაძე: „დავით ბაქრაძე საკუთარი გუნდის გადარჩენას ცდილობს“ გვ.2

ვინ არის ნაციონალების რეალური ლიდერი

ზაზა ხატიაშვილი ადვოკატების გვ.7 დევნას უჩივის

გასულ წელთან შედარებით გვ.6 დანაშაულის მაჩვენებლმა იკლო, გახსნის მაჩვენებელი კი გაიზარდა

გიორგი ვაშაძე: „ნაციონალების პრაიმერის ბოლო ტური 28 ივლისს თბილისში გაიმართება“ გვ.2

წულუკიანი ბედუკაძის საქმის გვ.4 გადახედვას ითხოვს

ბაღათურია პაატა გვ.2 ბურჭულაძესთან მოლაპარაკებებს აგრძელებს

3 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
მაკიაველი
8 ლარი



ISSN 1987-9385

5 ემიგრანტები საპრეზიდენტო არჩევნებში სრულფასოვან მონაწილეობას ვერ მიიღებენ

6 შალვა ნათელაშვილი: „მამულით ვაჭრობა შეწყვიტეთ“

5 ნუგზარ წიკლაური: „შეუძლებელია, წამების სიმბოლო ბედუკაძე თავისუფლად დადიოდეს“

6 დავით საყვარელიძე: „ვინც ტერიტორიის 20 პროცენტი წაგვართვა, მათ ვეპატიჟებით ამხანაგურ თამაშზე?“

ანი მიროტაძე: „დავით ბაქრაძე საკუთარი გუნდის გადარჩენას ცდილობს“

ვინ არის ნაციონალების რეალური ლიდერი

თამარ ნინიძე

ინტერვიუ დეპუტატ ანი მიროტაძესთან

– პირველ რიგში მინდა გკითხოთ, რატომ გააქტიურდა „ეროვნული ფორუმი“ პარტიული მიმართულებით? თქვენ ბოლო დღეების განმავლობაში რეგიონალური ორგანიზაციების დაფუძნებით ხართ დაკავებული.

– ყველა სერიოზული პარტია დაკავებული უნდა იყოს საკუთარი ორგანიზაციის გაძლიერებით. „ეროვნული ფორუმი“ შექმნის დღიდან დღემდე ამ მიმართულებით მიდის. განსაკუთრებული არც ახლა არაფერი ხდება – ვაფუძნებთ ახალ რაიონულ ორგანიზაციებს და ვახორციელებთ საკუთარ აქტივთან და პარტიის წევრებთან შეხვედრას. მით უმეტეს, რომ წინ ძალიან მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნებია. ქვეყანამ და ახალმა ხელისუფლებამ, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, დემოკრატიის ტესტი უნდა ჩააბაროს. თამასა ძალიან მაღლაა აწეული და ჩვენ, ყველანი, კოალიცია „ქართული ოცნების“ გუნდის წევრები, ისევე, როგორც მთლიანად ქართველი საზოგადოება, ვალდებულები ვართ, ახალი ქვეყნის აშენება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებით და ასეთ არჩევნებში გამარჯვებულ ქვეყნის ახალ ლიდერთან ერთად დავიწყოთ. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები სერიოზული გამოწვევაა ყველა პოლიტიკური ძალისთვის. „ეროვნული ფორუმი“ იღებს ამ გამოწვევას და იწყებს მზადებას ღირსეული გამარჯვებისთვის, კოალიციაში შემავალ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან ერთად.

– და ვიდრე თქვენ რაიონულ ორგანიზაციებს აფუძნებთ, „ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის მიზნით პრაიმერისს ატარებს.

– პირადად ჩემთვის ამ პრაიმერისის შედეგები უკვე ცნობილია და დარწმუნებული ვარ, რომ მათი კანდიდატი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იქნება. პრინციპში, ეს მათთვისაც კარგად არის ცნობილი, მაგრამ ეტყობა, ყველას თავის სტრატეგია აქვს. როდესაც წლების განმავლობაში ძალიან შორს ხარ დემოკრატიისგან, ოდესღაც ალბათ იმიტირებული დემოკრატიულობა მაინც უნდა შეძლო. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ იმიტირებული დემოკრატიულობის რეჟიმში ირჩევს საკუთარ საპრეზიდენტო კანდიდატს.

– და დავით ბაქრაძე, რომელიც თქვენი აზრით, ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატი იქნება, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან მოლაპარაკებებს მართავს. ეს ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ? რაზე ესაუბრნენ მმართველი გუნდის პირველი პირები უმცირესობის ლიდერს?

– ამ კითხვაზე პასუხი მოლაპარაკებაში მონაწილე პირებმა უნდა გასცენ. დავით ბაქრაძემ საუბრის დეტალებზე უკვე ისაუბრა. დავით უსუფაშვილი ამ თემაზე განცხადებების გაკეთებას დღეს აპირებს. როგორც ირკვევა, უმცირესობა საპარლამენტო ცხოვრებას დაუბრუნდება, იცით ალბათ, რომ ისინი პოლიტიკური ბოიკოტის რეჟიმში იმყოფებოდნენ. საპარლამენტო ცხოვრებაში დაბრუნება მათი მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა, რადგან პოლიტიკური სივრციდან გასვლის საშიშროების წინაშე ყოფილი მმართველი გუნდი ისედაც დგას. შესაბამისად, უმჯობესია, გადაწყვეტილებები უფრო მეტი ფიქრის შემდეგ მიიღონ ხოლმე. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობა კონსტიტუციის გადახედვასა და ახალი საკონსტიტუციო კომისიის შექმნაში მონაწილეობის მიღებას აპირებს. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ჩვენ გვიწევს მათ მიერ დამახინჯებული და ჩასწორებული კონსტიტუციის გაკეთილშობილება. მე დიდი იმედი მაქვს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხს პოლიტიკური სპექტრი მთლიანად, არასამთავრობო სექტორი, კონსტიტუციონალისტები და ექსპერტები ძალიან სერიოზულად მიუდგებიან და აიღებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის უმაღლეს კანონზე. ყველა თავმოყვარე სახელმწიფოში ქვეყნის უმაღლეს კანონზე, მის დემოკრატიულობასა და დაცვაზე პასუხისმგებლობას თავად საზოგადოება იღებს.

– ისევ ურეკის სამთა შეხვედრას დავუბრუნდეთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ბოლოს და ბოლოს კოჰაბიტაცია შედგა?

– ეს ცოტა გადაჭარბებულ შეფასებად მეჩვენება და ვერ დაგეთანხმებით. მიმაჩნია, რომ დავით ბაქრაძე ბევრად უკეთესად ფლობს იმ რეალობას, რომელიც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში დადგა, ვიდრე მისი გუნდის დანარჩენი წევრები. შესაბამისად, ბაქრაძე საკუთარი გუნდის გადარჩენას ცდილობს, თუმცა მე არ შემიძლია გითხრათ, გამოუვა თუ არა მას ნაციონალური მოძრაობის რეანიმაცია.

– თქვენ ფიქრობთ, რომ დღეს ნაციონალური მოძრაობის ლიდერი დავით ბაქრაძეა და არა მიხეილ სააკაშვილი?

– სააკაშვილი უკვე დიდი ხანია რეალობას აცდენილია და მისი ლიდერობა ყოფილ მმართველ გუნდს ისედაც აღარ უნდა აწყობდეს, თუ თეორიულად მაინც უშვებენ, რომ პოლიტიკურ სივრცეში უნდათ დარჩენა. გარდა ამისა, სააკაშვილი ხელმოცარული პოლიტიკოსია, რომელიც რამდენიმე თვეში საბოლოოდ გადავა წარსულში. წარსულის პოლიტიკოსს კი სამომავლო საქმეების კეთება არ შეუძლია.

– ამ ხელმოცარულობამ ხომ არ შეაცვლევინა მას საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი სამჯერ?

– თარიღის შეცვლას მისი მხრიდან არანაირი აზრი არ ჰქონდა. ოქტომბრის ბოლო, ვარდების რევოლუციის საიუბილეო 10 წლისთავზე ნაციონალური ეპოქა სრულდება. შესაძლოა, მას ეს თარიღი სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. სააკაშვილი ხომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ისტორიას ეთამაშებოდა და საკუთარ წარმოსახვაში საქართველოს ისტორიის ფურცლებს, როგორც ჩვენი დროის ისტორიული ფიგურა, ისე ფურცლავდა. გმირობის ნაცვლად ის ამ ფურცლებზე ხელმოცარულ პოლიტიკოსად დარჩება და ამას, რა თქმა უნდა, განიცდის. ამ მარცხმა სააკაშვილი მთლიანად არაადეკვატური გახადა. ამიტომ, არც ერთი მისი გადადგმული ნაბიჯი სერიოზულად განსახილველი აღარ არის.

– ბოლო დროს თბილისის საკრებულოში ახალი სკანდალი აგორდა. მხედველობაში მაქვს კოკი იონათამიშვილის წერილი სააკაშვილისადმი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის სამარცხვინო ქმედება ამ პირადი წერილის განსაჯაროებისა. როგორია თქვენი კომენტარი ამ სკანდალის შესახებ?

– სააკაშვილის მორალური მხარე კოკი იონათამიშვილის მისდამი მიწერილი წერილის განსაჯაროების გარეშეც ცნობილი იყო. მიშა მიშაა ოპონენტთანაც, გუნდის ყოფილ წევრთანაც, მეგობართანაც და უბრალო ნაცნობთანაც. იმაშიც სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მასთან ყველაზე დაახლოებულ პირებზეც მოპოვებული და დაარქივებული აქვს მაკომპრომეტირებელი მასალები და რომ ეს მასალები პირადად აქვს ნანახი. იმაშიც არ მეპარება ეჭვი, რომ მათი დაშანტაჟებისთვის ამ მასალებს აუცილებლად გამოიყენებდა და ამის ალბათობა მომავალშიც საკმაოდ მაღალია. თუნდაც ამის პრევენციის გამო უნდა დაინტერესდეს გამოძიება ამ ფაქტით, რათა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური ინფორმაციის განსაჯაროება არ მოხდეს. სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ასეთი ფაქტების არსებობა.

– ანუ ამ ფაქტის გამო სააკაშვილის გასამართლება უნდა მოხდეს?

– ის მაინც უნდა განუმარტონ მკაფიოდ, რომ მსგავსი ქმედებები დასჯადია და რომ ქვეყნის პირველი პირები მსგავს ქმედებას არ სჩადიან.

– სამეგრელოში ნაპოვნი იარაღისა და ვიდეოჩანაწერების სკანდალმა ნაცმოძრაობას სახელი საბოლოოდ გაუფუჭა. როგორ ფიქრობთ, ამ ვითარებაში აქვს რაიმე აზრი იმას, რომ შიდაპარტიული პრაიმერით გამოვლინდეს საპრეზიდენტო კანდიდატი?

– სწორედ ამაზე ვსაუბრობდი ზემოთ, რომ პრაიმერისს არანაირი აზრი არ აქვს. ეს არის მათი მხრიდან დემოკრატიულობის იმიტაცია და ემსახურება ერთადერთ მიზანს – მოხდეს მათი მეტ-ნაკლები რეაბილიტაცია იმ ყველაფრის ფონზე, რაც მათი მმართველობის პერიოდში ხდებოდა. რამდენად გამოუვათ პოლიტიკური ფერიცვალება, ცოტა რთული სათქმელია. ფაქტი კი ის არის, რომ მათი კანდიდატი ძალიან დიდი სხვაობით დამარცხდება სხვა კანდიდატებთან და არ ვგულისხმობ მხოლოდ „ქართული ოცნების“ კანდიდატს, რომელსაც, რა თქმა უნდა, გამარჯვების დიდი შანსი აქვს. მე არც პერსონალურად განვიხილავ ყოფილი მმართველი გუნდის კანდიდატის შანსებს. თუ მათი კანდიდატი დავით ბაქრაძე იქნება და, როგორც ჩანს, იქნება, დამარცხდება როგორც ნაციონალების ფავორიტი და არა როგორც დავით ბაქრაძე. სხვათა შორის, მე არ მესმის, რატომ მიიღო ბაქრაძემ აღნიშნული გადაწყვეტილება. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ბევრი ვიცი, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს, ბაქრაძეს აქვს!!!

– რა აქვს დასაკარგი დავით ბაქრაძეს, ისიც ხომ ამ გუნდის წევრი იყო და პასუხისმგებლობა მასაც ისევე ეკისრება, როგორც სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, ახალაიებს, უგულავას, ბოკერიას და ა.შ.

– ბაქრაძეს მე მაინც ბოლომდე ამ გუნდის წევრად არ განვიხილავ. არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და დანარჩენები მას რაიმეს ეკითხებოდნენ, იმის მიუხედავად, რომ წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო. გარდა ამისა, ბაქრაძეს აქვს შანსი, ჰქონდეს პოლიტიკური მომავალი. ნაციონალური მოძრაობის პარტიული ელიტის უმეტესობას ეს შანსი საერთოდ არ აქვს.

– დიდი ხმაური გამოიწვია ახლახან ივანიშვილის განცხადებამ, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებიდან წავა. რამდენად დროულია ეს განცხადება იმ ფონზე, როცა ახალი ხელისუფლების ფორმირება ჯერ კიდევ არ დასრულებულა?

– მე, როგორც მისი გუნდის წევრს, რა თქმა უნდა, არ მინდა, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებიდან წავიდეს. არც ის მინდა, რომ მისი პოლიტიკაში შემოსვლით გამხნევებულ ადამიანებს იმედები გაუცრუვდათ და ახალი ქვეყნის მშენებლობის შანსს საფრთხე დაემუქროს, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მას ჩემზე მეტად უნდა დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს და ქვეყნის გადარჩენის ეს უზარმაზარი შანსი ხელიდან არ გაუშვას. ამიტომ, მე ძალიან მტკივნეულად არ ვუყურებ ამ საკითხს. თუ ბატონი ბიძინა გადაწყვეტს და პრემიერობიდან წავა, დარწმუნებული ვარ, სრულიად გააზრებული და გაცნობიერებული ექნება ის მდგომარეობა, რომელშიც ქვეყანა იქნება. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ხალხისთვის მიცემულ დაპირებებზე პასუხისმგებლობას არ მოიხსნის. თუ ის ხელისუფლებაში დარჩენასა და ხალხთან ერთად ხელისუფლების გაკონტროლებას შორის არჩევანს ხალხთან გადასვლის სასარგებლოდ გააკეთებს, ამასაც ძალიან სწორ ნაბიჯად ჩავთვლი, რადგან ის პრემიერობიდან უფრო ძლიერ სახელისუფლო სივრცეში გადავა, რადგან მიმაჩნია, რომ ყველაზე დიდი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

– ამომრჩეველი პარლამენტის უმრავლესობისგან გაბედულ ქმედებებს ელოდება, მხედველობაში მაქვს აუდიტის სამსახურის საკითხი. თქვენ ჩემზე კარგად უნდა გახსოვდეთ, რით იყო დაკავებული ეს უწყება და რამდენად აქტიურად იყო გამოყენებული სადამსჯელო იარაღად ოპოზიციის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, არც ერთი სახელმწიფო უწყება არ აქვს შემოწმებული. ინტერესდება თუ არა უმრავლესობა ამ საკითხით და როდის უნდა ველოდოთ აუდიტის საქმიანობის შეფასებას?

– აუდიტის საქმიანობას 6 თვე სწავლობდა პარლამენტის საგამოძიებო კომისია, რომელმაც ძალიან მძიმე დასკვნა მოამზადა. გარდა ამისა, ჩვენ მოვისმინეთ აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის 2012 წლის ანგარიში და ლაშა თორდიას მოხსენება, შესაბამისად, მისი უწყების საქმიანობა, უარყოფითად შევაფასეთ. არ ვიცი ადევნებდით თუ არა თვალს საპარლამენტო სესიის ბოლო სხდომას, მაგრამ სწორედ იმ დღეს განვიხილეთ ეს საკითხი და ძალიან ბევრი მწვავე კითხვა დაისვა დეპუტატების მხრიდან არა მხოლოდ მაღალი ხელფასებისა და პრემიების და შემცირებული შემოწმებების შესახებ, არამედ იმ ბევრ უკანონობაზე, რომელსაც ეს უწყება ახორციელებდა ჯერ კიდევ არჩევნებამდე პერიოდში. გახსოვთ ალბათ, როგორ იყენებდა ბეჟანშვილი-მოგელაძის სადამსჯელო ჯგუფს ხელისუფლება ოპონენტების წინააღმდეგ. მეტი გაბედული ნაბიჯი რა უნდა იყოს, არ ვიცი, ჩვენ ძალიან მწვავე დებატები გვქონდა პარლამენტში ლაშა თორდიასთან, რომელმაც, ჩემი აზრით, დეპუტატების ვერც ერთ კითხვას ვერ უპასუხა ან არ უპასუხა. ისე ძალიან საინტერესოა, როგორ აპირებს საქმიანობის გაგრძელებას აუდიტის სამსახური და რას გეგმავს ლაშა თორდია. ფაქტია, რომ ამ დრომდე ეს სამსახური მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების დევნით იყო დაკავებული.

გიორგი ვაშაძე: „ნაციონალების პრაიმერის ბოლო ტური 28 ივლისს თბილისში გაიმართება“

ნაციონალური მოძრაობის წევრის გიორგი ვაშაძის განცხადებით, საპრეზიდენტო კანდიდატის შესარჩევად ნაციონალური მოძრაობის პრაიმერის ბოლო ტური 28 ივლისს თბილისში გაიმართება.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გიორგი ვაშაძემ განაცხადა, 28 ივლისს თბილისში ონლაინ-გამოკითხვების გამარჯვებულიც გამოვლინდება.

ვაშაძემ გუშინწინ გორში გამართული პრაიმერის მეორე ტურიც შეაფასა.

„თემა იყო ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობა და რაღა თქმა უნდა, კონფლიქტები და ოკუპაცია, რომელიც ჩვენ ძალიან გვაწუხებს. იყო მიდგომების ძალიან სერიოზული სხვაობა კანდიდატებს შორის, ძალიან ბევრი შეკითხვა და ჩვენ გამოვავლინეთ მეორე ტურის გამარჯვებული, რომელიც კვლავ დავით ბაქრაძეა. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ხალხი ინტენსიურად რეგისტრირდება ონლაინ გამოკითხებში. 28 ივლისს ჩვენ გვაქვს პრაიმერიზის ბოლო ტური თბილისში, სადაც ასევე გამოვლინდება ონლაინ-არჩევნების გამარჯვებული. სწორედ ამ დღისთვის ყველა საარჩევნო უბანს ეყოლება თითო დელეგატი და ასევე დელეგატებს ავირჩევთ არჩევნების გზით“, – განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, ნაციონალური მოძრაობა აგრძელებს რეორგანიზებას და ის უახლოეს მომავალში საზოგადოებას კიდევ ბევრ სიახლეს შესთავაზებს.

მედიანიუსი

ბაღათურია პაატა ბურჭულაძესთან მოლაპარაკებებს აგრძელებს

,ქართული დასის“ ლიდერი ჯონდო ბაღათურია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პაატა ბურჭულაძე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე თანახმაა.

როგორც ,,მედიანიუსს“ ჯონდო ბაღათურიამ განუცხადა, მათთან შეუთანხმებლად ინფორმაციის გავრცელება არასწორია.

მისივე თქმით, ,,ქართული დასი“ პაატა ბურჭულაძესთან მოლაპარაკებებს კვლავაც აწარმოებს და მოლაპარაკების შედეგი მისი დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, როდის დასრულდება მოლაპარაკებები.

შეგახსენებთ, რომ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პაატა ბურჭულაძე დათანხმდა ,,ქართული დასის“ შეთავაზებას და საპრეზიდენტო კანდიდატად იყრის კენჭს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დატოვებს თუ არა არჩილ კბილაშვილი პოსტს

მთავარი პროკურორი ბიძინა ივანიშვილს დღეს გასცემს პასუხს

შორენა მარსაგიშვილი

ბოროტი ხმები უკვე კარგა ხანია ჟღურტულებენ, რომ არჩილ კბილაშვილს წყალი აქვს შეყენებული. სარწმუნო წყაროები კი იმაზე ჩუხჩუხებენ, რომ პრემიერ- მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მთავარი პროკურორის მოღვაწეობით უკმაყოფილია. ეს უკმაყოფილება მთავრობის მეთაურმა გუშინ ღიად დააფიქსირა. რასაც, ბუნებრივია, ქვეყანაში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ეს ალიაქოთი რამდენიმე მიმართულებით გაიშალა.

თავისი უთანხმოება პრემიერმა ციხის სკანდალური კადრების ავტორის ლადო ბედუკაძის გამო დააფიქსირა. მთავარმა პროკურატურამ ის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა. ამაზე ნაციონალებმა ღაწვები ჩამოიხოკეს, ამბობდნენ პატიმრების მწამებლების ადგილი ციხეშიაო. ნაცმოძი და რამდენიმე მეოცნებეც ამტკიცებენ, რომ ბედუკაძეც აწამებდა პატიმრებს. ციხიდან გამოსული პატიმრების დიდი ნაწილი კი მასზე საპირისპიროს ამბობს.

ალბათ ყველას გახსოვთ, რა პერიოდში გაავრცელა ბედუკაძემ ის კადრები. ის კადრები რომ არა, არჩევნებზე „ქართული ოცნება“ ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა. აქედან გამომდინარე, ნაციონალების აღშფოთება გასაგებია, მაგრამ მეოცნებეების აღტყინებაა გაუგებარი. გაუგებარია, ბიძINა ივანიშვილის პოზიციაც.

როგორც უკვე ვთქვით, ივანიშვილმა გუშინ ციხეში პატიმართა წამების საქმეზე პროკურატურის მიერ რამდენიმე ბრალდებულთან გაფორმებული საპროცესო გარიგების თაობაზე განცხადება გაავრცელა. ამ გარიგების შედეგად წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლებით ბრალდებულებს მკვეთრად მსუბუქი სასჯელები განესაზღვრათ, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძე საერთოდ გათავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. ივანიშვილის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საქართველოს მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ მიიღო პატიმრების წამებისა და მათდამი არაადამიანური მოპყრობის არაერთ ფაქტზე ბრალდებული ბედუკაძის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლების გადაწყვეტილება, რაც მე მოგვიანებით, საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებისგან შევიტყვე. ამ უკანასკნელებმა მთხოვეს, შემეფასებინა ეს გადაწყვეტილება და მე დავპირდი, რომ დეტალური შესწავლის შემდეგ გავაკეთებდი განცხადებას და გამოვხატავდი ჩემს პირად დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი.

პირადად მე არც ერთხელ არ ჩავრეულვარ და არც მომავალში ვაპირებ რაიმე ფორმით ჩავერიო პროკურატურის საქმიანობაში. ცხადია, ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლობის ის უპრეცედენტო ხარისხი, რაც ბოლო თვეების განმავლობაში მიენიჭა პროკურატურას, თეორიულად, შესაძლოა, შეიცავდეს გარკვეული შეცდომების დაშვების საფრთხეებსა და რისკებს, მაგრამ დღესაც მტკიცედ მჯერა, რომ პროკურატურის დამოუკიდებლობის საჯარო ინტერესი ბევრად აღემატება იმ ნეგატიურ შედეგებს, რაც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მოჰყვეს არასწორი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

რაც შეეხება ბედუკაძის საქმეს, მე გავეცანი ყველა იმ არგუმენტს, რომლებიც საფუძვლად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას და მინდა, მკაფიოდ განვაცხადო, რომ პირადად ჩემთვის ისინი არასაკმირისი და არადამაჯერებელია. დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი სახის განსაკუთრებული გარემოება არ შეიძლება იყოს საფუძველი წამების ჩამდენი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებისათვის. ამასთან ერთად, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამიტოვა ამ საქმის სხვა ფიგურანტების მიმართ გამოჩენილმა ლოიალურობამ, რამაც, ჩემი აზრით, არაადეკვატურად ლმობიერ განაჩენებში ჰპოვა ასახვა.

მიმაჩნია, რომ ეს დაუშვებელია, მით უმეტეს, როდესაც წინა ხელისუფლების პირობებში, ფაქტობრივად, დამკვიდრებული იყო ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების მუდმივი პრაქტიკა. ჩემი შეფასებით, ეს გადაწყვეტილებები ხელს შეუშლის მომავალში ამ უმძიმესი დანაშაულის თავიდან აცილებისათვის მიმართულ ძალისხმევას.

მინდა ვთხოვო საქართველოს მთავარ პროკურორს, რომელიც სასამართლოსგან განსხვავებით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და ამიტომ შემიძლია მას პირადად მივმართო, – კიდევ ერთხელ კრიტიკულად გადახედოს მიღებულ გადაწყვეტილებებს და თუკი გაიზიარებს ჩემს მოსაზრებებს, იქნებ გამოინახოს სამართლებრივი საშუალებები მათი გადასინჯვისთვის, – ვკითხულობთ პრემიერის განცხადებაში.

პრემიერის განცხადება ერის ნაწილმა პროკურატურის შიდა საქმეებში ჩარევად აღიქვა. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამით ივანიშვილმა მხოლოდ თავისი პოზიცია დააფიქსირა.

ამასთან დაკავშირებით თავის პოზიციას მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი დღეს დააფიქსირებს. გუშინ მთელი დღის მანძილზე ვრცელდებოდა ვერსიები, რომ მთავარი პროკურორი პოსტს დატოვებს. მის შემცვლელად უკვე ლაშა ნაცვლიშვილსაც ღიად მოიაზრებენ. ისე როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, მთავარი პროკურორი ისედაც ნაცვლიშვილია და კბილაშვილს მხოლოდ ბრიფინგების ჩატარება ევალებაო.

დასაწყისში ის მართლაც ხშირად ატარებდა ხმაურიან ბრიფინგებს. არც სკანდალური განცხადებები გვაკლდა. ახლა ესეც აღარ გვესმის. დღეს მთელი საქართველოს ყურადღება მისკენ იქნება მიპყრობილი, დღეს მისგან ბევრო გადადგომას ელოდება.

ბედუკაძის გათავისუფლების გამო განსაკუთრებით ნაციონალები იყვნენ დამწუხრებული. აქედან გამომდინარე, პრემიერის განცხადებასაც აღტყინებით შეხვდნენ. და ივანიშვილის რეაქცია საკუთარ დამსახურებად მიიჩნიეს.

– ჩვენ დავაკვირდებით, მოხდება თუ არა ბედუკაძის საქმის გადასინჯვა და დადგება თუ არა გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი, – განაცხადა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ირმა ნადირაშვილმა. მისი თქმით, პრემიერი იძულებული გახდა, ბედუკაძის საქმის გადასინჯვა მოეთხოვა.

– ჩვენ ვთვლით, რომ ეს ნაბიჯი არის პოზიტიური და თავად განცხადების შინაარსი გახლავთ სწორი. ვთვლით, რომ ამ განცხადების გაკეთებისკენ პრემიერ-მინისტრს უბიძგა საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან ზეწოლამ, მედიის აქტივობამ. ერთი საკითხია, რა განცხადებები კეთდება პრემიერის მხრიდან და მეორე საკითხია, რა ტიპის ქმედებები მოჰყვება ამას. ჩვენ დავაკვირდებით, მოხდება თუ არა ბედუკაძის საქმის გადასინჯვა, დადგება თუ არა გენერალური პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხი. როდესაც არჩილ კბილაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაფორმებულიყო საპროცესო შეთანხმება ვლადიმერ ბედუკაძესთან, თეა წულუკიანი გახლდათ გენერალური პროკურორი, – განაცხადა ნადირაშვილმა.

ნადირაშვილის კოლეგა და თანაპარტიელი აკო მინაშვილი კი პრემიერს თვალთმაქცობაში სდებს ბრალს. მინაშვილის ღრმა რწმენით, ივანიშვილის მხრიდან თვალთმაქცობაა, რომ თითქოს ბედუკაძის გამოშვების შესახებ არ იცოდა.

– პრემიერს ჰგონია, რომ ის არის საბავშვო ბაღის დირექტორი. ეს არის თვალთმაქცობა მისი მხრიდან, თითქოს მან არ იცოდა ამ ფაქტის შესახებ, რომ ბედუკაძე იყო გამოშვებული. მით უმეტეს რომ, იყო ძალიან ფართო საზოგადოებრივი დისკუსია ამასთან დაკავშირებით. ამ ყველაფრის გამო პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს როგორც არჩილ კბილაშვილს, ისე იუსტიციის მინისტრს, თეა წულუკიანს, რომელიც მაშინ გენერალური პროკურორი იყო და პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა – ბიძინა ივანიშვილს, – განაცხადა მინაშვილმა.

მინაშვილი არ არის დარწმუნებული, რომ რაიმე გადაწყვეტილება იქნება ამ საქმესთან დაკავშირებით მიღებული და აცხადებს, რომ ეს უბრალოდ არის პოზირება საზოგადოების წინაშე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გედევან ფოფხაძის შეფასებით, ვლადიმერ ბედუკაძესთან დაკავშირებით პროკურატურის გადაწყვეტილება შეცდომა იყო.

– მე მიმაჩნია, რომ წამებაში ეჭვმიტანილი ადამიანის გათავისუფლება პროკურატურის მონაწილეობით არანაირად არ შეიძლება, სწორად ჩაითვალოს და ასეთი მუხლით როდესაც ადამიანს აქვს ბრალი წაყენებული, პროკურატურაც უნდა იყოს ძალიან თანმიმდევრული და სასამართლომაც ფრთხილი გადაწყვეტილება მიიღოს. მე მიმაჩნია, ეს იყო შეცდომა, – განაცხადა ფოფხაძემ.

ბედუკაძის გათავისუფლების გამო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა ადრეც გაინერვიულა თავი. ივანიშვილის გუშინდელმა განცხადებამ კი მას კმაყოფილება მოგვარა.

– საქართველოს, როგორც იქნა, ეღირსა ხელისუფლება, რომელსაც სწორი ორიენტირები და სწორი ხედვები აქვს, მივესალმები პრემიერის დღევანდელ გადაწყვეტილებას. ადამიანები, რომლებიც ეჭვმიტანილები ან ბრალდებულნი არიან წამების დანაშაულში, უმძიმეს, უსასტიკეს ფორმებზეა აქ საუბარი, არ შეიძლება მათ თავისუფლება აჩუქო, ეს აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებით, რომლის მონაწილეც არის საქართველოს სახელმწიფო. – აცხადებს თინა ხიდაშელი.

მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს თავად ბედუკაძეც ადევნებდა თვალს. ეტყობა ყველაზე მეტად მას ხიდაშელის შეფასება არ მოეწონა. მან დეპუტატს პასუხი „ფეისბუქის“ გვერდიდან გასცა და დაუბარა: „მე თქვენგან „საჩუქებელი“ ქალბატონო თინათინ არაფერი მჭირს“.

– მე თქვენგან „საჩუქებელი“. ქალბატონო თინათინ. არაფერი მჭირს, ჩემთვის ნათელია რატომ ემთხვევა თქვენი და ნაც.სექტის ლიდერთა განცხადებები ერთი ერთზე ერთმანეთს, გამბედავები ეს თქვენ ხართ, მე ლაჩარი პარტია. რომლის რეიტინგი ნულია, ნუ აზიზღებთ საზოგადოებას თავს, ნუ შეგყავთ პრემიერი შეცდომაში! – წერს ბედუკაძე.

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი, ყოფილი დეპუტატი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, რომ ბედუკაძის პასუხისმგებლობაზე საუბრის უფლება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს არ აქვთ. ბრეგაძის განცხადებით, სწორედ ისინი არიან პატიმართა წამებისა და ამ რეჟიმის შემქმნელები და სწორედ მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. მისი თქმით, ციხის სკანდალური კადრების ავტორზე საუბარი ოპოზიციის წევრების მხრიდან ამორალურია.

– ამ დღესაც მოვესწარით, აკო მინაშვილი გამოდის და ხმამაღლა გაყვირის ადამიანების მწამებელი პირები რატომ არ ისჯებიანო და ხელს ბედუკაძისკენ იშვერს. საზოგადოება და ხელისუფლება ამას ისმენს და ისე იღებს თითქოს მინაშვილს ჰქონდეს ამის თქმის რაიმე უფლება.

დიახ, ვეთანხმები ბატონ ივანიშვილს, რომ ადამიანთა მწამებლები უნდა დაისაჯონ სასწრაფოდ, მაგრამ უნდა დაისაჯოს სისტემის შემქმნელი და ბრძანების გამცემი მიხეილ საკაშვილი, აკო მინაშვილი, გივი თარგამაძე, პეტრე ცისკარიშვილი და სხვა ავაზაკები. ისე არ უნდა მოხდეს, რომ „ნაცების“ დამარცხების ერთ-ერთი შემოქმედი ლადო ბედუკაძე დაისაჯოს და აკო მინაშვილი პარლამენტში იჯდეს, როგორც დეპუტატი და როგორც საპარლამენტო ოპოზიცია.

ჩემი ციხეში ყოფნის პერიოდში, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, თუ როგორი იმედით უყურებდნენ ბედუკაძეს პატიმრები, რადგან ის იყო ერთადერთი ნათელი წერტილი მთელს იმ სისტემაში, (ცალკე რას აკეთებდა ეგ, არ ვიცი) თუმცა, გინდაც ესე არ ყოფილიყო – სრული აბსურდია და ამაზრზენი სანახაობაა, როდესაც „ნაცები“, მათი ლიდერები, ის ხალხი, რომელმაც ყველაფერი იცოდნენ ადამიანთა წამებების შესახებ ციხეში, რომლებსაც უშუალოდ ჩემმა ოჯახმა შეატყობინა, რომ ციხეებში გვაწამებდნენ, რომლებიც თავად ხელმძღვანელობდნენ ადამიანების წამებას, რომლებიც დამკვეთები იყვნენ პოლიტიკური მკვლელობებისა, დღეს გამოდიან და ბედუკაძის დაჭერას ითხოვენ. ჯერ დააპატიმრეთ ეს ჯალათი დეპუტატები, დააპატიმრეთ მათი პრეზიდენტი, აკრძალეთ „ნაცმოძრაობა“ და შემდეგ ისაუბრეთ ვინმეს ბრალეულობაზე. არა, ძმებო, ესე არ გამოვა, ბედუკაძე ციხეში და აკო მინაშვილი თუ გივი თარგამაძე პარლამენტში? ქართველ ხალხს ამისთვის არ უბრძოლია! – ნათქვამია სანდრო ბრეგაძის განცხადებაში.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი აცხადებს, რომ ბედუკაძესთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გადახედვის სამართლებრივი გზა არსებობს და ეს პროკურატურის კომპეტენციაა.

კუბლაშვილის თქმით, კანონში პირდაპირ წერია, რომ მთავარ პროკურორს ჰქონდა ამ შუამდგომლობის დაყენების უფლება, მან ეს კანონიერად გააკეთა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომაც:

– პროკურორს აქვს ეს უფლება, ეს ძალიან მკვეთრად, ნათლად, ყველასათვის გასაგებად არის მითითებული კანონში. მან გააკეთა და კანონიერად შევიდა სასამართლოში, ასევე კანონიერად მიიღო თავისი გადაწყვეტილება სასამართლომ, ამიტომ რაღაც რომ შეიცვალოს, ამას თავისი საფუძვლები სჭირდება, ახლა რას გააკეთებს პროკურატურა, ეს მათი გადასაწყვეტია. სხვა დანარჩენი, თუკი ისევ შემოვიდა საქმე სასამართლოში, სასამართლო შეამოწმებს, რამდენად კანონიერია უკვე რაიმეს შეცვლის მოთხოვნა, ეს არის ძალიან მარტივი განმარტება იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს. უფლებამოსილება იმისა, რომ რამე შეცვალოს, არის მთლიანად პროკურატურის კომპეტენცია. რაც შეეხება სასამართლოს მიერ განაჩენის დამტკიცების სამართლიანობას, მე შეფასებას ვერ გავაკეთებ. მე ვიტყვი, რომ ეს არის კონკრეტული სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინც არ უნდა განაცხადოს, დეპუტატი იქნება თუ პროკურორი, რომ უსამართლოა, სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მიიღო. ვისაც ამის შეცვლა უნდა, ან ამბობს, რომ ეს უკანონო იყო, აიღოს ეს გადაწყვეტილება, აიღოს კოდექსი და შეადაროს ერთმანეთთან. რაც შეეხება შეცვლას, ეს არის პროკურატურის გადასაწყვეტი და შემდგომ უკვე სასამართლოს კომპეტენცია, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კუბლაშვილმა.

კბილაშვილის თავს დამტყდარ უბედურებას მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძეც გამოეხმაურა. ის ივანიშვილის განცხადებას მიესალმება და მიიჩნევს, რომ ბედუკაძე გარეთ არ უნდა დადიოდეს. კაციტაძე ეჭვობს, რომ პროკურატურის თავზე ნელ-ნელა ღრუბლები იყრება.

– თუ გავიხსენებთ პრემიერ-მინისტრის ბოლო პრესკონფერენციას, იქაც ბიძინა ივანიშვილმა გარკვეული კრიტიკული მოსაზრება გაატარა თუ გაუშვა პროკურატურის მისამართით, რომ ვერ მუშაობს კარგად და იქ არის პრობლემები, ძველი თუ ახალი, მაგრამ არის. ამას თუ დავუმატებთ ბედუკაძესთან დაკავშირებით პროკურატურისადმი მიმართვას, რომ გადახედოს საკითხსო, მე ვფიქრობ, რომ პროკურატურის თავზე ნელ-ნელა ღრუბლები იყრება და ვიტყოდი, რომ საფუძვლიანად იყრება ეს ღრუბლები. მე პოზიტიურად ვაფასებ პრემიერის დღევანდელ განცხადებას იმიტომ, რომ როდესაც სამართლიანობაზე გაქვს პრეტენზია, როცა პრეტენზია გაქვს იმაზე, რომ წამება და ძალადობა არ უნდა იყოს და თან შერჩევით სამართალზეც ამბობ, რომ არ იქნება, ბედუკაძე ლაღად არ უნდა დადიოდეს. ბედუკაძე რაღაც სახედ იქცა, თუ დააკვირდებით შეხვედრები რომ იმართება, პრეზიდიუმში ზის ხოლმე და მე რომ მკითხოთ, კედელ-კედელ უნდა დადიოდეს მისი წარსულის მქონე ადამიანი. პრემიერი სწორი იყო, როცა მან ეს განცხადება გააკეთა და ძალიან კარგი იქნება თუ ამ განცხადებას მოჰყვება შედეგი, – აღნიშნა კაციტაძემ.

კაციტაძის მსგავსად ბევრი ფიქრობს, რომ პროკურატურის თავზე შავი ღრუბლები შეიყარა. ვნახოთ, რას უპასუხებს დღეს კბილაშვილი ერსა და პრემიერს. არის ვარაუდი, რომ ის თანამდებობას დატოვებს. ლაშა ნაცვლიშვილის გარდა მის შემცვლელებად სხვებიც მოიაზრებიან. გაზეთ „პრაიმტაიმის“ ცნობით, კბილაშვილი შეესაძლოა მაია მწარიაშვილმა ან ზაქარია ქინქლაძემ ჩაანაცვლოს.

ლადო ბედუკაძესთან გარიგება პროკურატურამ ცოტა ხნის წინ გააფორმა. და თუ ასე სულისშემძრავი იყო ეს ფაქტი, აქამდე რატომ დუმდა ივანიშვილი. ნაციონალები მართლა იხოკავდნენ ღაწვებს, მაგრამ ოცნების დიდი ნაწილი დუმდა. ახლა კი უცბად შემოიხიეს ტანზე პერანგი. არადა, ბევრი მათგანი პარლამენტში სწორედ ბედუკაძის სკანდალური კადრების წყალობით მოხვდა. თუ ასე მიუღებელია თქვენთვის ბედუკაძის თავისუფლება მაშინ იქნება დეპუტატების მანდატებიც დატოვოთ.

და კიდევ. არც მეოცნებეებს და არც ნაციონალებს დიდი პროტესტი არ გამოუთქვამთ ახალციხის სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. 3 ივლისს სასამართლომ ადამიანების წამებასა და გაუპატიურებაში ბრალდებულები გაათავისუფლა.

„ჩეჩნეთში მოკლული ბანდის მეთაური სწავლებას საქართველოში გადიოდა“

რუსეთის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის ინფორმაციით, ჩეჩნეთში დღეს დილით მოკლული ბანდის მეთაური რუსტამ სალიევი, აფეთქებადანაღმვას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტერორისტულ ბანაკში სწავლობდა.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის რამზან კადიროვის განცხადებით, განხორციელებული სპეცოპერაციის დროს ლიკვიდირებულია ჯგუფის მეთაური რუსტამ სალიევი, რომელიც მეტსახელ აბუ-მუსლიმითაა ცნობილი. ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის ინფორმაციით, ის ტერორისტ დოკუ უმაროვთან დაახლოებული პირი იყო.

„1999 წლიდან 2001 წლამდე სალიევი საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ბოევიკების ბანაკში გადიოდა სწავლებას. სწორედ აქ მიიღო მან ძირითადი მომზადება ასაფეთქებელ-დანაღმვით საქმეში“ – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ნიუსპრესი

ცხინვალში შესვლა გამკაცრდა

ნათია ხურცილავა

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ ორშაბათის ტარდიციული პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ გასული კვირის სამუშაოები შეაჯამა და მიმდინარე კვირის მოვლენებზე ისაუბრა.

მინისტრის მოადგილემ ცხინვალის გადაწყეტილება დაგმო და განაცხადა, რომ აღნიშნული მიზნად ისახავს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებული ე.წ. დადგენილება დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ისახავს მიზნად.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქართული მხარე შეშფოთებას გამოთქვამს საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მოსახლეობის გადაადგილებისთვის შეზღუდვების დაწესების გამო.

– საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის მიერ მიღებულ ე.წ. დადგენილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, 2013 წლის 18 სექტემბრიდან საოკუპაციო ხაზზე, კერძოდ, მოსაბრუნში, პერევსა და სინაგურში უკანონოდ შექმნილ გამშვებ პუნქტებში ყოველგვარი ტრანსპორტის გადაადგილება შეწყდება. ადგილობრივ მოსახლეობას ე.წ. საზღვრის გადაკვეთა ამირიდან ფეხით მოუწევს. ე.წ. დადგენილების თანახმად, იკრძალება ტვირთების გადაზიდვაც, მკაცრად გაკონტროლდება პირადი ბარგის გადატანაც. ეწ. საზღვრის გადაკვეთისას პირს უფლება ექნება, თან იქონიოს ტვირთი, რომელიც არ აჭარბებს 50 კგ-ს ან არაუმეტეს, 65 ათასი რუსული რუბლის ღირებულების ხელბარგი. გარდა ამისა, შეზღუდვები დაწესდება საკვები პროდუქტების გარკვეულ კატეგორიაზე. ზემოხსენებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს საოკუპაციო ხაზზე გადაადგილების არსებული შეზღუდვების კიდევ უფრო გამკაცრებას და შესაბამისად, დაშორიშორებულ მოსახლეობას შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. ზედმეტია იმის ხაზგასმა, რომ საოკუპაციო ხაზის გადაკვეთაზე დამატებითი აკრძალვების დაწესება ადგილობრივ მოსახლეობას აზარალებს და უხეშად არღვევს მათ უფლებებსა და თავისუფლებებს, უპირველესად, თავისუფალი გადაადგილების უფლებას, ასევე სხვა სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ. – განაცხადა ჯალაღანიამ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე საგანგაშო პროცესების შესახებ დაუყონებლივ აცნობა ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებს. აღნიშნული ინფორმაცია ასევე, მიეწოდება საერთაშორისო თანამეგობრობას, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირს, გაერო-სა და ეუთო-ს, რათა ზემოხსენებულ უკანონო ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება მოხდეს. თუმცა, როგორი იქნება რეაქციები, ჯერ უცნობია.

პრესკონფერენციაზე მინისტრიეს მოადგილემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ტვირთბრუნვის მონიტორინგთან დაკავშირებით შვეიცარიულ კომპანიასთან მოლაპარაკებები დასრულებისკენ მიდის.

– შვეიცარიელი მონიტორების საკითხი ეხება შვეიცარიული კომპანიის ამოქმედებას იმ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 2011 წელს მიღწეულ იქნა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში და რომელიც გულისხმობს საბაჟო ადმინისტრირებისა და ტვირთების გადაადგილების მონიტორინგს რუსეთ-საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარზე. საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, არაორდინარულია, შესაბამისად, ქართული მხარის სამუშაო ჯგუფი, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით მუშაობს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაზე. ჩვენი ინფორმაციით, ანალოგიური სიტუაციაა რუსეთის მხრიდან. ამდენად, ეს არის მუშა პროცესი, თუმცა მივდივართ დასასრულისკენ. – განაცხადა ჯალაღანიამ.

როგორც ცნობილია, 9 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით, შვეიცარიის კონფედერაციის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების ფარგლებში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებმა დოკუმენტების პაკეტს მოაწერეს ხელი. პირველი საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ ორმხრივი შეთანხმებაა, მეორე – ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც შვეიცარიის, როგორც ნეიტრალური მესამე მხარის როლს განამტკიცებს. მესამე: სამივე მხარემ – საქართველომ, რუსეთმა და შვეიცარიამ გაცვალეს დოკუმენტები იმ საერთაშორისოდ აღიარებული ნეიტრალური კერძო კომპანიის მოქმედების პირობების განსაზღვრის მიზნით, რომელსაც მონიტორინგის განხორციელების მანდატს შვეიცარიის მთავრობა მიანიჭებს. საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის მონიტორინგის მექანიზმი: ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემას და საერთაშორისო ზედამხედველობის სისტემას მოიცავს. ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემის საშუალებით ნეიტრალური კერძო კომპანია ტვირთის სავაჭრო დერეფნებში შესვლამდე რისკის მართვის უზრუნველყოფის მიზნით სასაქონლო დეკლარაციებიდან და ტვირთებზე წინასწარი ინფორმაციიდან შესაბამის მონაცემებს მოიპოვებს. ხელშემკვრელი მხარეები ნეიტრალურ კერძო კომპანიას სავაჭრო დერეფნებში შემავალი ან დერეფნებიდან გამავალი ყველა საქონლის შესახებ შემდეგ მონაცემთა ერთობლიობას წარუდგენენ: ტვირთის ექსპორტიორი, ადგილების რაოდენობა, ტვირთის მიმღები, გამომგზავნი ქვეყანა, წარმოშობის ქვეყანა, დანიშნულების ქვეყანა, შესვლის ტერმინალი, გასვლის ტერმინალი, საზღვარზე გამწევი სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო მონაცემები, ვალუტა და საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება, ვალუტის გაცვლის კურსი, საქონლის აღწერილობა და ადგილები, დაფასოება და მარკირება, კონტეინერების ნომრები, რაოდენობა და სახეობა, საქონლის კოდი, წარმოშობის ქვეყანა, სრული წონა, პროცედურა, სუფთა წონა, საქონლის ღირებულება და დამატებითი ინფორმაცია. ელექტრონულ მონაცემთა გაცვლის სისტემაში ინფორმაცია ეროვნული საბაჟო სისტემის მიერ მისი დადასტურების შემდეგ იქნება შეტანილი.

ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება შვეიცარიის მიერ დაქირავებული ნეიტრალური კერძო კომპანიისთვის.

რაც შეეხება წინასწარ განსაზღვრულ სავაჭრო დერეფნებს, ისინი შეთანხმებაში გეოგრაფიული კოორდინატებით არის გასაზღვრული. კოორდინატთა ბადეში რუსეთ-საქართველოს საზღვრის კვეთის სამი წერტილი – ფსოუ, როკი და ლარსი ექცევა. ვაჭრობის ადმინისტრირება და კონტროლი საბაჟო ტერმინალებში განხორციელდება, რომლებიც სავაჭრო დერეფნების გამოსასვლელში, შესასვლელში მდებარეობს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია აცხადებს, რომ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები ნებისმიერი დარღვევის მიმართ მყისიერად რეაგირებენ.

დავით ჯალაღანიამ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა.

ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა ცხინვალის რეგიონში გადაადგილების წესებთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებს.

ჟურნალისტმა მინისტრის მოადგილეს ჰკითხა, რატომ კეთდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან ოფიციალური განცხადება, მხოლოდ ცხინვალის რეგიონში გადაადგილების წესებთან დაკავშირებით, მაშინ, როცა აფხაზეთის მიმართულებითაც იგივე პრობლემა დგას.

– მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ნებისმიერი მიმართულებით საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შემზღუდავი გადაწყვეტილება, რეაგირებულ იქნება პოლიტიკური და მშვიდობიანი გზით. მე უბრალოდ კონკრეტული ფაქტი აღვნიშნე, როცა სახეზეა კონკრეტული გადაწყვეტილება, კონკრეტული თარიღი, ამისკენ არის მიმართული ჩვენი ძალისხმევა, თან პრევენციულად. რა თქმა უნდა, ნებისმიერი დარღვევის მიმართ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება, საგარეო საქმეთა სამინისტრო და შესაბამისი უწყებები მყისიერად რეაგირებენ და ადეკვატური რეაქციაა ჩვენი პარტნიორების მიერ. – განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ მიღებული „დადგენილებით", 18 სექტემბრიდან საოკუპაციო ხაზზე უკანონოდ შექმნილ გამშვებ პუნქტებში ყოველგვარი გადაადგილება შეწყდება და აიკრძალება ტვირთების გადაზიდვაც. აღსანიშნავია, რომ უკვე ორი თვეა, დაახლოებით ანალოგიური შეზღუდვები მოქმედებს გალის რაიონის მიმართულებით არსებულ ხუთ ე.წ. გადასასვლელზეც.

აფხაზეთში ვერც ერთი ადამიანი ვერ მოხვდება, თუ არ წარადგენს რუსეთის მოქალაქის პასპორტს ან ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობის დამადასტურებელ პასპორტს.

კვლავ აქტუალურია ელჩების დანიშვნის საკითხი. როგორც ჩანს, პრეზიდენტი კვლავ აჭიანურებს სხვადასხვა ქვეყანაში ელჩების დანიშვნის საკითხს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია იმედოვნებს, რომ ელჩების დანიშვნასთან დაკავშირებით საღი აზრი და ლოგიკა გაიმარჯვებს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, ხუთი ელჩი კვლავ ელოდება პრეზიდენტისგან ხელმოწერას და სამუშაო პროცესის დაწყებას.

– დღემდე ხუთი ელჩის დანიშვნის საკითხი კვლავ ღიად არის. გამომდინარე იმ გამოწვევებიდან, რომელიც, ყველას მოგეხსენებათ, ძალზე მნიშვნელოვანია წარმომადგენლობებში პირველი პირების ყოფნა ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ა.შ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაციაა. ჩვენი ინფორმაციით, არანაირი მსვლელობა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებას პრეზიდენტის ადმინისტრაციისადმი არ მოჰყოლია. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ უახლოეს მომავალში მაინც საღი აზრი და ლოგიკა გაიმარჯვებს და შესაბამისი პროცედურები განხორციელდება. – განუცხადა ჟურნალისტებს ჯალაღანიამ.

წულუკიანი ბედუკაძის საქმის გადახედვას ითხოვს

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას მინისტრთა კაბინეტის წევრები და საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები გამოეხმაურნენ.

როგორც გაირკვა, პრემიერ-მინისტრი ლადო ბედუკაძის მიმართ მთავარი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ იწონებს და ის არჩილ კბილაშვილს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვისკენ მოუწოდებს.

როგორც აღმოჩნდა, ბიძინა ივანიშვილის პოზიციას ეთანხმება იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი.

წულიკიანი აცხადებს, რომ ომის დროსაც კი, როდესაც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ადამიანის წამება ყოვლად დაუშვებელია. მისი განცხადებით, ადამიანი წამებისგან, ადამიანის უფლებების საერთაშორისო კონვენციებით არის დაცული.

– წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა არის ადამიანის უფლებებში პრაქტიკულად იმ პატარა სიას შორის, რომელზეც სრულიად სამყარო თანხმდება, რომ ეს არის იმპერატიული ნორმა. ეს არის პრინციპი, რომლიდანაც გადახვევა, როგორც ამბობს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა კონვენცია, არ შეიძლება, მაშინაც კი, როდესაც ომია ქვეყანაში და როდესაც ერის არსებობას საფრთხე ემუქრება. ამას ამბობს ევროპული კონვენცია. აქედან გამომდინარე, თუკი წამების აკრძალვიდან გადახვევა არ შეიძლება მაშინაც კი, როდესაც ერის არსებობას საფრთხე ემუქრება, რა თქმა უნდა, ბედუკაძის მიმართ გამოყენებული გადაწყვეტილება და ღონისძიება ეჭვს იწვევს და რა თქმა უნდა, ვეთანხმები იმას, რომ ეს გადასახედია. – განაცხადა წულუკიანმა.

მაშინ, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღო მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა, მაშინ კანონით მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს ემორჩილებოდა. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, უცნობია.

როგორც აღვნიშნეთ იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ეჭვს იწვევს და აღნიშნული საქმე გადასახედია.

– ბედუკაძის საქმესთან დაკავშირებით მთავარი პროკურორის შუამდგომლობის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული დამოუკიდებლად, მთავარი პროკურორის მიერ. მე ეს შუამდგომლობა ვნახე მას შემდეგ, რაც შეტანილ იქნა სასამართლოში. ის იყო გარკვეულწილად დასაბუთებული, თუმცა გამორჩენილი იყო ის ფაქტი, რომ საქმე ეხებოდა როგორც მინიმუმ, არაადამიანურ მოპყრობას და როგორც მაქსიმუმ, წამებას. ამ ორ ნაწილში საერთაშორისო სამართალი და მათ შორის ჩვენი კანონიც კრძალავს, რომ ვინმეს რაიმე ტიპის შეღავათი გაუკეთო. – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

მინისტრის ინფორმაციით, მთავარი პროკურატურა მუშაობს იმაზე, თუ რა სახის სამართლებრივი გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს არსებული სიტუაციიდან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ზეწოლაზე ალაპარაკდა

ნათია ხურცილავა

უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ზეწოლაზე ალაპარაკდა, რომელიც, მისი განცხადებით, ამ ეტაპზე ხელისუფლებისგან და ოპოზიციისგან მომდინარეობს.

კუბლაშვილის განცხადებით, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან მოსამართლეთა მისამართით გაჟღერებული შეურაცხყოფები სასამართლოს საქმიანობაში პირდაპირი ზეგავლენისა და ჩარევის მცდელობაა.

– დღეს მე მინდა, განცხადება გავაკეთო ბოლო ხანს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მაღალი დონის წარმომადგენლების მხრიდან მოსამართლეთა შეურაცხყოფის რამდენიმე ფაქტზე. თქვენ იცით, რომ დაახლოებით 2 კვირის წინ ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ჩემი პირველი მოადგილის შესახებ იყო საუბარი ისეთ კონტექსტში, რომელიც პირდაპირ შეიცავდა შეურაცხყოფას. – განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარემ პრესკონფერენციაზე ასევე გაიხსენა ახალციხის სასამართლოში განვითარებული მოვლენები.

– ახალციხეში მომხდარი ფაქტებიდან გამომდინარე, იყო საუბარი საერთოდ სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და მოსამართლეებზე. ამაშიც უმრავლესობის მაღალი თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ. ბოლოს იყო თბილისის მერისგან საუბარი კონკრეტული მოსამართლეების მიმართ და მათი შეურაცხყოფა. თითოეულ ამ ფაქტთან დაკავშირებით მინდა, განვაცხადო, რომ ასეთი ფაქტი ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან, სასამართლოს დისკრედიტაციის პირდაპირი მცდელობაა. ეს შეურაცხყოფები აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენს საზოგადობაში, ჩვენს ქვეყანაში. ის აბსოლუტურად ძირს უთხრის პირდაპირ სასამართლოს, მის დამოუკიდებლობას, მისი განვითარების პრესპექტივებს და ა.შ. – აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

კუბლაშვილმა ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც მოსთხოვა, რომ სასამართლოზე ზეწოლისგან თავი შეიკავონ.

– მინდა, ძალიან კონკრეტულად მოვითხოვო ყველა ამ პირის მიმართ, რომ ასეთი შეფასებები, ასეთი შეურაცხყოფაე მოსამართლეთა მიმართ, გახლავთ პირდაპირი ზეგავლენისა და ჩარევის მცდელობა სასამართლოს საქმიანობაში. კატეგორიულად მინდა, ვთქვა, რომ საბოლოო შედეგს, ისინი ამით ვერ მიიღებენ, მაგრამ ამით ისინი ძირს უთხრიან სასამართლოს და მთლიანად სასამართლო სისტემის დისკრედიტაციას ახდენენ. ეს ჩვენს ქვეყანაში განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც ვართ, აბსოლუტურად მიუღებელია. თქვენ ხშირად გაგიგონიათ მწვავე კრიტიკა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და ეს ბუნებრივია, ასეც უნდა დარჩეს და ეს კრიტიკა ასატანია, მაგრამ საბოლოოდ, ამას გადაწყვეტს ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, მაგრამ როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელი გამოდის და ამბობს, რომ მან იცის, რომ იქ მტკიცებულებები არსებობდა და ამიტომ ეს გადაწყვეტილება უსამართლოა, ეს უკვე უპასუხიმგებლო კრიტიკაა, რადგან მათ კარგად უნდა ესმოდეთ, რომ სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიტინგების ფონზე არ შეიცვლება. ეს უნდა გასაჩივრდეს და მხოლოდ ამით შეიძლება ამის შეცვლა. ბოლო 2 კვირის განმავლობაში მოსამართლეთა შეურაცხყოფამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მე კიდევ ერთხელ მინდოდა განმეცხადებინა, რომ ჩვენი მხრიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან, ყოველთვის ყველა ასეთ განცხადებაზე საპასუხო განცხადება გაკეთდება. სხვა დანარჩენი ცივილიზებული კრიტიკის ფარგლებში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ გადაწყვეტილების შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს შეუძლია და სხვა ვერაფერი აქ ვერ მოხდება. – განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან კომენტარი ბედუკაძის საქმეზეც გააკეთა. ის ამბობს, რომ რაიმეს შეცვლის უფლებამოსილება მთლიანად პროკურატურის კომპეტენციაა.

– საქართველოს მთავარ პროკურორს აქვს უფლებამოსილება, ასეთი რამ გააკეთოს. ეს არ არის პრობლემური. მთავარი პროკურორის ეს უფლებამოსილება კანონში ძალიან მკაფიოდ, ნათლად, ყველასთვის გასაგებად არის მითითებული. მან ეს გააკეთა. ეს არის მისი გადაწყვეტილება. შესაბამისად, რადგან ეს კანონიერად შევიდა სასამართლოში, სასამართლომ ასევე კანონიერად მიიღო თავისი გადაწყვეტილება. ამიტომ რაღაცა რომ შეიცვალოს, ამას თავისი საფუძვლები სჭირდება. რას გააკეთებს პროკურატურა, ეს მას უნდა ჰკითხოთ. თუკი ისევ შემოვა საქმე, სასამართლო შეამოწმებს, რამდენად კანონიერია რაიმეს შეცვლის მოთხოვნა. ეს არის ძალიან მარტივი განმარტება იმისა, თუ რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ უფლებამოსილება იმისა, რომ რამე შეიცვალოს, არის მთლიანად პროკურატურის კომპეტენციაში. – განაცხადა კუბლაშვილმა.

ემიგრანტები საპრეზიდენტო არჩევნებში სრულფასოვან მონაწილეობას ვერ მიიღებენ

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი ემიგრაციაში საქართველოს მოქალაქეებს საარჩევნო უფლების გარეშე ტოვებს.

– საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დროებით მსოფლიოს 32 ქვეყანაში ემიგრაციაში იმყოფებიან, 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში სრულფასოვან მონაწილეობას ვერ მიიღებენ, – ამის შესახებ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით:

– საქართველოს პრეზიდენტის მიერ საარჩევნო დღედ გამოცხადებული 31 ოქტომბერი, საქართველოსგან განსხვავებით, სამუშაო დღეს წარმოადგენს უცხოეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისთვის, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარების წინაპირობებს ვერ ქმნის. პრეზიდენტს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან და დემოკრატიის განხორციელების პროცესში მათი უშუალო მონაწილეობა. ნებისმიერ ქვეყანაში, დიასპორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარების პროცესში. თუმცა, 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლებელია, მათი თანამონაწილეობის მნიშვნელობა იგნორირებული აღმოჩნდეს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, სააკაშვილის გადაწყვეტილება სამართლებრივად და პოლიტიკურადაც გაუმართლებელია, რითაც უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უფლებებს ხელყოფს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავენ მიხეილ სააკაშვილს, რათა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების კორექტირება, რათა საპრეზიდენტო არჩევნებს ჰქონდეს შესაბამისი ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა.

– მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს არჩევნების თარიღის გამოცხადებით არ დაურღვევია საქართველოს კონსტიტუცია, დამდგარი შედეგი გვაფიქრებინებს, რომ აუცილებელია კიდევ ერთხელ შეიცვალოს საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი, რათა სრულად იქნეს გამოვლენილი საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური ნება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე დიასპორების აქტიური ჩართულობით, – ასეთია „ახალგაზრდა ადვოკატების“ პოზიცია.

ამასთან, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოდიან ორი რეკომენდაციით და მიმართავენ საქართველოს მთავრობას და საქართველოს უშიშროების საბჭოსთან არსებულ უწყებათაშორის კომისიას.

– ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, აუცილებლად უნდა მოხდეს რუსეთის ფედერაციაში. როგორც ცნობილია, საქართველოდან ემიგრაციის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ რუსეთში ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით, საჭიროა საქართველოს მთავრობამ დაიწყოს აქტიური დიპლომატიური შესაძლებლობების გამოყენება და არჩევნების ჩატარების საკითხი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისას საქართველოს მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა დააყენოს.

ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს, წინასაარჩევნო პროცესში მკაცრად შეფასდეს ყველა შესაძლო შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული შეიძლება აღმოჩნდეს საჯარო სამსახურში დასაქმებულთა მიმართ თავისუფალი ნების გამოვლენის ზემოქმედებასთან. საქართველოს ამ მიმართულებით ცუდი პრაქტიკა გააჩნია, ხოლო უწყებათაშორის კომისიას – არაეფექტური მუშაობის გამოცდილება.

საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მსოფლიოს 32 ქვეყნის 38 ქალაქში 40 საარჩევნო უბანი ფუნქციონირებდა. არაოფიციალური ინფორმაციით, დღეს საქართველოს 1 მლნ 900 000 ათასი ემიგრანტი ჰყავს.

მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნების დროსაც იგივე გააკეთა, რადგან ხედავდა, რომ მან მხარდაჭერა დაკარგა. ახლაც იგივეს ცდილობს.

ნუგზარ წიკლაური: „შეუძლებელია, წამების სიმბოლო ბედუკაძე თავისუფლად დადიოდეს“

პრემიერ-მინისტრის განცხადება არის იმის აღიარება, რომ შეუძლებელია წამების სიმბოლო ვლადიმერ ბედუკაძე თბილისის ქუჩებში თავისუფლად გადაადგილდებოდეს. ამის შესახებ საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა გაზეთ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

იგი ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც ვლადიმერ ბედუკაძის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლება მიუღებლად მიიჩნია და მთავარ პროკურორს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვისათვის მიმართა.

„ბედუკაძის გათავისუფლებამ საყოველთაო ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. მიმაჩნია, რომ გამოხატულია პოზიცია ნეგატიური არ არის. ამიტომაც ვფიქრობ, ჩვენ არ უნდა გვქონდეს იდეაფიქსი, რომ ყველა გადაწყვეტილება პრემიერისა იყოს გაკრიტიკებული. ყველამ კარგად ნახა, რომ ბედუკაძე შეურაცხყოფდა ხალხს ციხეში და ის უნდა იყოს დაპატიმრებული. ამიტომაც ბედუკაძის და „ბასტის“ გათავისუფლება ანომალური მოვლენა იყო“, - – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

„მინდა ვთხოვო საქართველოს მთავარ პროკურორს, რომელიც სასამართლოსგან განსხვავებით, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და ამიტომ შემიძლია მას პირადად მივმართო, – კიდევ ერთხელ კრიტიკულად გადახედოს მიღებულ გადაწყვეტილებებს და თუკი გაიზიარებს ჩემს მოსაზრებებს, იქნებ გამოინახოს სამართლებრივი საშუალებები მათი გადასინჯვისთვის“, – ნათქვამი იყო ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში.

მედიანიუსი

ხოჯამ სამთაწყარო დატოვა

დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში მცხოვრები მუსლიმების წინამძღვარმა, ხოჯა სულიკო ხოზრევანიძემ სოფელი დატოვა. ამ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

როგორც ხოჯა სულიკო ხოზრევანიძე აცხადებს, სოფელში რელიგიური ნიშნით მის ოჯახზე განხორციელებული მუქარის გამო ჯანმრთელობას უჩივის, რის გამოც სამკურნალოდ აჭარაში მიდის. მისივე თქმით, სამთაწყაროდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი სოფელში ამ დრომდე არსებული დაძაბული მდგომარეობაა.

„დაწყნარდება ალბათ სოფელი. სალოცავში არ დავდივართ, მაგრამ მაინც არის მუქარები, ყოველდღე, რომ არ გადაიფიქროთ და გასვლა არ გაბედოთო. ავად ვარ ამდენი ნერვიულობისგან. აჭარაში შვილი ცხოვრობს, ჩავალ და ვიმკურნალებ. გზაში ვარ ახლა“, – განუცხადა ხოჯამ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ჯერ უცნობია, როდის აპირებს ხოჯა სულიკო ხოზრევანიძე სოფელში დაბრუნებას.

სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი მას შემდეგ დაიწყო, რაც მუსლიმთა სამმართველომ სოფელში სამლოცველო სახლის გასახსნელად შენობა იყიდა. ქრისტიანმა ჰერებმა და აჭარელი ეკომიგრანტების ნაწილმა, ერთად ლოცვის მსურველ მუსლიმებს ამის შესაძლებლობა რამდენჯერმე არ მისცეს.

მედიანიუსი

ნარკოტრეფიკის ერთეული ფაქტი თუ წინა ხელისუფლების საერთაშორისო დონის დანაშაული

სულ რამდენიმე დღის წინ, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ახალციხეში უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობით ძლიერმოქმედი ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი“ ამოიღეს.

მაშინ, როდესაც ამ ნივთიერების 1 გრამიც კი განსაკუთრებით დიდ რაოდენობად ითვლება, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა 116 კილოგრამი „ჰეროინი“ ამოიღეს, რომელიც საქართველოს გავლით უცხოეთში უნდა გაეტანათ.

თავისი საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე კი, ამ პარტიის ფასი რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს აღწევს.

საინტერესოა იყო თუ არა ეს ფაქტი, საქართველოს, როგორც ქვეყნის ნარკოტრანზიტისთვის გამოყენების პირველი შემთხვევა ან რამდენად ჰქონდათ ან აქვთ დასაყრდენი ნარკოტრეფიკიორებს ქვეყნის მაღალჩინოსნებს, უპირველეს ყოვლისა კი ძალოვანი უწყების მაღალჩინოსნებს შორის.

ოფიციალური ინფორმაციით, ნარკოტიკი მოლდოვის სანომრე ნიშნებით მოძრავ სატვირთო ავტომანქანაში აღმოჩნდა, რომელსაც თურქეთის მოქალაქე მართავდა:

„სატვირთო ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩატარდა, აღნიშნული ავტომანქანის ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ, 500 გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინი“, საერთო წონით 116 კგ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ახალციხის ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქე.

დაკავებისას თურქეთის მოქალაქე „მერსედესი“-ს მარკის სატვირთო ავტომანქანას მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო სანომრე ნიშნით მართავდა. მას თან ახლდა მოლდოვის მოქალაქე.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა, ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მიმდინარე წლის 3 ივლისს გადმოკვეთეს. თურქეთის მოქალაქემ საქართველოში საერთაშორისო გადაზიდვისათვის უკანონოდ შემოიტანა 116 კგ ,,ჰეროინი“, რომლის ღირებულებაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარია.

საქმეზე, სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, გამოძიება მიმდინარეობს“ – ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაში.

ის, რომ ამ რაოდენობის ნარკოტიკზე წვდომა და მისი ტრანსპორტირება უბრალო მოკვდავი ადამიანისთვის წარმოუდგენელია, კითხვებს ნამდვილად არ იწვევს. კითხვებს არ იწვევს ისიც, რომ თურქეთის იმ მოქალაქის უკან, რომელიც სატვირთო ავტომანქანას მართავდა, უცხოეთში მოქმედი რომელიმე კარგად ორგანიზებული ნარკოგაერთიანება დგას, რომლისთვისაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქმედებით მიყენებული ზარალი რა თქმა უნდა ძალიან დიდი იქნება, მაგრამ აქ კიდევ ერთი კითხვა ისმება, რომელიც პასუხის გაცემას აუცილებლად საჭიროებს.

კონკრეტულად კი, როგორც წესი მსგავსი ტიპის ოპერაციები, რასაც საზღვარზე ასეულობით კილოგრამი ძლიერმოქმედი ნარკოტიკის გატანა ჰქვია, ალალბედზე და გამართლების იმედზე არ ხორციელდება და ნარკოტრეფიკიორებს, იმ ქვეყანაში, რომლის გამოყენებაც მათ ნარკოტრანზიტისთვის უნდათ, აუცილებლად ჰყავთ მფარველი და პატრონი.

სწორედ ესაა ის კითხვა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილმა პასუხი აუცილებლად უნდა გასცეს, – ანუ ჰყავდათ თუ არა მფარველი დაკავებულებს საქართველოში და ვინ არიან ისინი.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ნარკოტიკის ამხელა პარტიის ქვეყანაში ალალბედზე შემოტანას ვერცერთი ნარკოტრეფიკიორი ვერ გაბედავდა და რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ბედს ჰაერში ვერ გამოკიდებდა.

თუ აღმოჩნდება, რომ ნარკოტიკების ასეთი დიდი პარტიებისთვის საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გამოყენება ინტენსიურად ხდებოდა, მაშინ იარსებებს საკმაოდ დიდი ეჭვის საფუძველი იმის შესახებ, რომ გადამზიდავებს საქართველოში, წინა ხელისუფლების სახით საკმაოდ ძლიერი მფარველი ჰყავდათ და იქედან გამომდინარე, რომ 116 კილოგრამი „ჰეროინით“ დატვირთული ავტომანქანა ახალციხეში დააკავეს, გამორიცხული არ არის ნარკოტრეფიკში იმ პირის ბრალიც გამოიკვეთოს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ მთელ საქართველოზე, განსაკუთრებით კი სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე განუზომელი გავლენა ჰქონდა.

იგულისხმება შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი, რომელიც დღეს საკმაოდ მძიმე ბრალდებებით ციხეში ზის, თუმცა მის მიმართ ბრალის დამძიმებების სერია შეიძლება კიდევ გაგრძელდეს და არც ისაა გამორიცხული, რომ ერთ-ერთ ბრალად ნარკოტრეფიკი წაუყენონ.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სააკაშვილის ხელისუფლება, რაიმე დონეზე, საერთაშორისო ნარკოტრანზიტს მფარველობდა, ეს საერთაშორისო სკანდალი იქნება და ამ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლით პასუხისგება დადგება დღის წესრიგში.

ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეძლო ამ ტვირთის გამოვლენა-ამოღება, მისი მუშაობის ეფექტიანობაზე მიუთითებს, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა – ხდებოდა თუ არა საქართველოს გავლით ევროპის მიმართულებით ნარკოტიკებუის დიდი პარტიების გადინება და ვინ იყო ამის მფარველი წინა ხელისუფლებიდან.

ზოგადად კი, აღბათობა იმისა, რომ დადასტურდეს საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ინტენსიურად გამოყენების ფაქტი, – ძალიან დიდია, ვინაიდან ამის შესახებ ჯერ კიდევ გასულ წელს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი თავის მოხსენებაში წერდა.

„საქართველო ნარკოტიკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრანზიტორია.

ნარკოტიკების ტრანზიტის მხრივ, სომხეთი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს, რადგან ქვეყანა იზოლაციაში იმყოფება“ – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის „ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის“ დოკუმენტში.

ამავე დოკუმენტის თანახმად, – „ნარკოტიკების გავრცელების ძირითადი მარშრუტი, ავღანეთიდან ირანში, ირანიდან აზერბაიჯანში, ხოლო აზერბაიჯანიდან საქართველოზე გადის, საიდანაც შემდეგ ის რუსეთსა და ევროპაში ვრცელდება.

საქართველოში მოქმედებს აგრეთვე, ნარკოტიკების მწარმოებელი მიწისქვეშა ლაბორატორიებიც“ – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში.

შეგახსენებთ, ეს დასკვნა გასულ წელს გამოქვეყნდა.

საეჭვოა, რომ აღნიშნული დასკვნა სახელმწიფო დეპარტამენტს, ჰაერზე, ზეპირი ინფორმაციის და ჭორის დონეზე გაეკეთებინა. სავარაუდოდ მას ამის შესახებ მტკიცებულებებიც ჰქონდა.

კიდევ უფრო საეჭვოა, რომ საქართველოში ნარკოტრანზიტი მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის უწყმარად განხორციელებულიყო და მითუმეტეს, საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლების უწყმრად და მისი ხელდასმის გარეშე იატაკქვეშა ნარკოტიკის მწარმოებელ ქარხნებს ეფუნქციონირათ.

მითუმეტეს, მაშინ როცა რუსეთისგან განსაკუთრებული მტრის ხატი იქმნებოდა და ვანო მერაბიშვილი რუსეთის აგენტებს მაშინაც კი იჭერდა, როდესაც ისინი არ არსებობდნენ, საეჭვოა, რომ რუსეთში ნარკოტიკების დიდი პარტიის გატანა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ხელდასმის გარეშე მომხდარიყო.

არსებობს ეჭვი და საკმაოდ საფუძვლიანიც, რომ წინა ხელისუფლება ჩართული იყო საერთაშორისო ნარკოტრეფიკში და ამ შავი ტრანზიტით ძალიან დიდ ფულსაც შოულობდა.

დღეს კი ყველაფერი გამოძიების საქმეა.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყება, მიუხედავად იმისა, რომ რაც უფრო მეტ მსგავს რეზონანსულ და მსხვილმასშტაბიან დანაშაულს გახსნის, ახალ-ახალი იერიშის ობიექტი გახდება, უნდა შეძლოს და სრულად ამხილოს ის ჩინოვნიკები, ვინც ნარკომაფიაში იყვნენ სავარაუდოდ ჩართულნი.

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ შეერთებული შტატები, რომელიც ფლობდა ინფორმაციას საქართველოზე გამავალი ნარკოტრასების შესახებ და იცოდა აქ არსებული იატაკქვეშა ქარხნების არსებობა, ვანო მერაბიშვილისდროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობას პოზიტიურად აფასებდა, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია კი, თავის არცთუ სანდო კვლევებში, საქართველოს ევროპაში ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად ასახელებდა.

დამეთანხმებით, ქვეყანაში, რომელსაც კონტინენტის მასშტაბით ყველაზე უსაფრთხოდ აფასებდნენ, ნარკოტიკის მწარმოებელი იატაკქვეშა ქარხნები არ უნდა ფუნქციონირებდეს და მასზე ტონობით ნარკოტიკი არ უნდა გადიოდეს.

ნიუსპრესი

ახალციხის ინცინდენტში მონაწილე სამი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ახალციხეში, სასამართლოს შენობასთან მომხდარი ინცინდენტის მონაწილე სამი პირი დააკავეს.

ამის შესახებ სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი.

„5 ივლისს, ახალციხეში, სასამართლოს შენობის დაზიანების ფაქტზე, შსს-ს ახალციხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) დაიწყეს გამოძიება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართალდამცველებმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხულიგნობა) 3 პირი: 1982 წელს დაბადებული შალვა ღ., 1992 წელს დაბადებული ბექა თ. და 1983 წელს დაბადებული დავით გ.დააკავეს.

საქმეზე გამოძიება სხვა დამნაშავე პირების გამოსავლენად სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს“ – აცხადებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მედიანიუსი

რუსმა მესაზღვრეებმა ქართველი დააკავეს

საოკუპაციო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსმა მესაზღვრეებმა კიდევ ერთი ქართველი დაკავეს. დაკავებულია კასპის რაიონის სოფელ საკორინთოს მცხოვრები ზურაბ სალამაშვილი.

მისი დაკავება მაშინ მოხდა, როდესაც ის სოფლის სიახლოვეს საქონელს მწყემსავდა.

ის სავარაუდოდ, ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით აიყვანეს და ამ დროისთვის ცხინვალის იზოლატორში იმყოფება.

დაკავებულის ოჯახის წევრებს, დაკავებულის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

ამ დროისათვის სამართალდამცავები მოლაპარაკებებს აწარმოებენ და ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაკავებულის გათავისუფლება უახლოეს პერიოდში მოხდება.

მედიანიუსი

გასულ წელთან შედარებით დანაშაულის მაჩვენებლმა იკლო, გახსნის მაჩვენებელი კი გაიზარდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიზიტით აჭარის რეგიონში იმყოფებოდა. მინისტრის გადაწყვეტილებით, გასვლითი თათბირი სწორედ იმ რეგიონში დაინიშნა, სადაც ყველაზე მეტ დამსვენებელს ელოდებიან.

საკურორტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით, მინისტრმა ბათუმში საქართველოს რეგიონების სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი ჩაატარა. სამხარეო სამმართველოების ხელმძღვანელების ინფორმაციით, ადგილობრივმა სამართალდამცველებმა ტურისტებისა და დამსვენებლების უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, 1 კვირიანი მოსამზადებელი კურსი გაიარეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, თათბირზე ასევე განიხილეს პოლიციის მუშაობის 6 თვის შედეგები. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წლის პირველ ნახევარში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულმა 3277 ერთეულით იკლო, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაორმაგებულია.

კონკრეტულად კი, ქვეყნის მასშტაბით 2012 წლის პირველ 6 თვეში, 17 485 დანაშაული მოხდა, საიდანაც 4 271 გაიხსნა. გახსნის მაჩვენებელმა კი 24,4% შეადგინა.

რაც შეეხება 2013 წელს, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 14 128 დანაშაული დაფიქსირდა, საიდანაც 7243 ფაქტი გაიხსნა, გახსნის მაჩვენებელმა 51,3 % პროცენტი შეადგინა.

სამინისტროს ინფორმაციითვე, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მიმდინარე წელს 3 277-ით ნაკლები დანაშაული მოხდა, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 26,8%-ით მოიმატა.

მინისტრმა პოლიციის მუშაობა დადებითად შეაფასა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საერთაშორისო ნარკოტრეფიკის საქმის გახსნის მნიშვნელობას.

ნიუსპრესი

შალვა ნათელაშვილი: „მამულით ვაჭრობა შეწყვიტეთ“

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა გუშინ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილმა საქართველო რუსეთს მიჰყიდა. მან მთავრობის წევრებს მოუწოდა, რომ სამშობლოს ნაცვლად, წილები პირადი ბიზნესიდან გაყიდონ.

„საქართველოს პრემიერად გადაქცეულმა კრემლის ოლიგარქმა ივანიშვილმა, რუსეთის მიმართულებით ხალხზე შეპირებული სავიზოეკონომიკური გახსნილობის ნაცვლად, საქართველო პირდაპირ მიჰყიდა მოსკოვს.

სოხუმ-ცხინვალში გაცემული ოკუპანტური პასპორტების კანონიერება დღეისთვის უკვე აღიარებულია, დადასტურებულია აფხაზეთში რკინიგზის კანონიერება, სანაცვლოდ კი დაბლოკილია ევროპული მაგისტრალი. ყოველმხრივ ხელშეწყობილია სოჭის ოლიმპიადა, ფარული მოლაპარაკებები მიდის ანტიტერორისტული ცენტრის გახსნასა და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, რაც ქვეყნის დაშლას საბოლოოდ გააფორმებს. კატეგორიულად მოვუწოდებთ მთავრობას, შეწყვიტოს მამულით ვაჭრობა და თუ ასე უნდათ, სამშობლოს ნაცვლად, პირადი ბიზნესიდან წილები გაყიდონ“ – ნათქვამია შალვა ნათელაშვილის განცხადებაში.

ნიუსპრესი

დავით საყვარელიძე: „ვინც ტერიტორიის 20 პროცენტი წაგვართვა, მათ ვეპატიჟებით ამხანაგურ თამაშზე?“

საპარლამენტო უმცირესობის წევრის დავით საყვარელიძის განცხადებით, სამწუხაროა, როდესაც პატრიოტებს უშვებენ „კაპეზეში“ და რუს დეპუტატებს – საქეიფოდ რესტორნებში.

ამის შესახებ დავით საყვარელიძემ გუშინ საქალაქო სასამართლოში „დინამო არენასთან“ მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებული პირების სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

„სამწუხაროა, რომ ვაჟკაცი პატრულებიც გაახვიეს ამ სიბინძურეში და იმას აკეთებენ, რისი გაკეთებაც არ სურთ. გუშინ იყო მშვიდობიანი აქცია ოკუპანტების, რუსეთის დუმის იმ დეპუტატების წინააღმდეგ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის და სამაჩაბლოს აღიარებაში. გაუგებარია, ვის ვეამხანაგებით, ვინც ტერიტორიის 20 პროცენტი წაგვართვა მათ ვეპატიჟებით ამხანაგურ თამაშზე? სამარცხვინოა“, – აღნიშნა დავით საყვარელიძემ.

მედიანიუსი

ზაზა ხატიაშვილი ადვოკატების დევნას უჩივის

გულიკო ბალაძე

ევროკავშირი ახორციელებს „სისხლის სამართლის რეფორმის ხელშეწყობის პროექტს საქართველოში". პროექტის მენეჯერმა ადვოკატურისა და იურიდიული დახმარების საკითხებში თამარ ღონღაძემ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან ერთად, ჟურნალისტებისთვის მოაწყო პროექტის პრეზენტაცია და ორდღიანი კონფერენცია.

კონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც ჰქონდათ ადვოკატებს მისი ასოციაციის თავმჯდომარედ მუშაობის პერიოდში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მხრიდან.

ზაზა ხატიაშვილმა განაცხადა, რომ მისი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ არჩევიდან 6 თვეში დაგროვდა ძალიან ბევრი საჩივარი ადვოკატთა უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით.

– საჩივრებზე ხელისუფლება არ რეაგირებდა. ამიტომ აქ არსებული პრობლემების გატანა დავიწყე ევროპაში. თუ საქართველოში დაწერილ საჩივრებზე შიდა პასუხი არ გაქვს, უცხოეთში ზედ არ გიყურებენ. ეს არის ევროსასამართლოს პრაქტიკა. ამიტომ სტუდია „მონიტორს" ვთხოვე, გადაეღო ადვოკატ მარიანა ივლევაშვილის პატიმრობის ისტორია. მარიანა ივლევაშვილს ედავებოდნენ თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, ადვოკატი თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით მისცენ პასუხისგებაში. 27 დეკემბერს თავმჯდომარე გავხდი და 29 დეკემბერს მარიანა ივანიშვილის სასამართლო პროცესი დაიწყო. ეს საქმე შევისწავლე, პროტესტი განვაცხადე მისი დაპატიმრების გამო, წერილი მივწერე პარიზის ადვოკატთა ასოციაციას და ვთხოვე, დაგვხმარებოდნენ. ამის გამო ხდებოდა ზეწოლები ჩემზე. დაჭერით მემუქრებოდნენ. კარგად იცით, რა წლები გამოვიარეთ.

პარიზის ადვოკატთა ასოციაციიდან მაცნობეს, რომ პრეზიდენტ სარკოზის შემახვედრებდნენ. ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ჩარევა. 26 ივნისს წავედი საფრანგეთში, იუნესკოს ოფისში, იქ იყო პარიზის დვარის 200 წლისთავი. საღამოს შემახვედრეს სარკოზის (მოკლე ისტორიას გიყვებით, თუ როგორ გადავრჩით). საკითხი არ ხმაურდება და ვითარება არ იცვლება. ამიტომ ვთხოვე საფრანგეთის ადვოკატთა ასოციაციას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ჩამოვიდნენ და დაიწყონ ადვოკატების უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა.

შემდეგ იუნესკოს ოფისში წავიღე 80 ფილმი მარიანა ივლევაშვილის შესახებ. მაშინ ფული არ გვქონდა და სტუდია „მონიტორი" დაგვეხმარა. ფილმი გვითარგმნა კიდეც და ადვოკატთა ასოციაციის 80 პრეზიდენტს მე ეს ფილმი დავურიგე. ბრაზილიის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ამბობს, ჩვენ გვეგონა ყველაზე უბედური სასამართლო ჩვენ გვქონდა და ჩვენ თქვენ ერთი საუკუნით გისწრებთო. ასე დავიწყეთ ადვოკატთა ასოციაციის მშენებლობა, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, შემდეგ ისევ ჩავდივარ ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს 50 წლისთავზე ბაზელში.

– ასოციაციას მაშინ ფული არ ჰქონდა და მთლიანად ჩემი ხარჯებით წავედი. იქ ვთხოვე, იქნებ დამეხმაროთ-მეთქი. ევროპის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე პირველ საკითხად პირველად გადის საკითხი საქართველოში ადვოკატთა უფლებების დარღვევის თაობაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მერე მე მითხრეს, რომ დაგიჯეროთ, რაღაც-რაღაცებია საჭიროო. იქ შემპირდნენ, რომ ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია (რომელსაც ევროპის საბჭო აფინანსებდა) თბილისში ჩამოვიდოდა. მართლაც 20 ნოემბერს მოავლინეს სამი ფრანგი ადვოკატი, რომელსაც მეარ ვიცნობ, უბრალოდ, აეროპორტში დავხვდი, თავმჯდომარე ვარ. ისეთი სიტუაციაა, რომ დასცინიან ადვოკატებს. ჩვენს გოგონებს ამოწმებენ უხეში ფორმებით. ეს საცოდავი ახალგაზრდა გოგონები მოდიან ტირილით თავმჯდომარესთან, ვერაფერი გამიგია, რა გავაკეთო. ადვოკატები ორი დღე რიგში დგანან, რომ ციხეში შევიდნენ. როდესაც 2010 წლის ნოემბერში ჩვენ ჩამოვიყვანეთ ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია, მაშინ გერმანიის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს ვთხოვეთ და თავისი ხარჯით ჩამოვიდა. მე მივდივარ და ვამბობ, რომ ადვოკატები ორი დღე დგანან რიგში აქ. ეს ფაქტი რუსთავი-2-მა კარგად გააშუქა და ეს სიუჟეტი გავუშვით ევროპის ადვოკატთა ასოციაციასა და მსოფლიოს ადვოკატთა ასოციაციაში და ვაჩვენეთ, როგორ იდგა ეს ხალხი რიგში. 48 საათის განმავლობაში ხომ უნდა გაასაჩივროს ადვოკატმა აღმკვეთი ღონისძიება, ვერ შედის ციხეში და ვერ ასაჩივრებს. ეს სპეციალურად კეთდება. თუ ვერ გაასაჩივრებ, სტრასბურგში ვერ მიდიხარ. ასეთი მოცემულობა იყო. ფრანგი და გერმანელი ადვოკატები ჩამოდიან და ამ ყველაფერს იღებენ. გვეხმარებიან და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია იბეჭდება ფრანგულ და გერმანულ გაზეთებში. ერთ კვირაში საკაკაშვილი იწყებს მე-8 საპყრობილესთან საძირკვლის ჩაყრას ადვოკატების მისაღებისთვის. პატიმრების ამანათების გადასაცემად რომ შედის ხალხი, იმ პატარა ოთახიდან ადვოკატი ფეხმძიმე ქალს ხომ ვერ გამოაგდებდა. სიცივეში, ყინვაში, ზაფხულშიც გარეთ იდგნენ. საშინელ დღეში იყვნენ. ადვოკატობა იყო ყველაზე დასაცინი პროფესია ამ ქვეყანაში.

დეკემბერში უკვე იდება დასკვნა ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნის თაობაზე, რომელიც არის შოკი ხელისუფლებისთვის. ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია პირდაპირ წერს, რომ ადვოკატის პროფესია არის რისკის ქვეშ საქართველოში. ასეთი რამ არ წერია არც აზერბაიჯანზე, არც სომხეთსა და არც ბელორუსიაზე. შემდეგ მე მივმართე ბელორუსიის გენერალურ პროკურორს და ვთხოვე ეცნობებინა, რამდენი ადვოკატი ჰყავდა ციხეში, იმიტომ, რომ ლუკაშენკოს პერსონა ნონ გრატად ცნობა დაიწყეს. ბელორუსიდან პასუხი მივიღე, რომ ოთხი ადვოკატი ზის ბელორუსის ციხეში. ასეთი ცნობები მივიღე უკრაინიდან და რუსეთიდან. აღმოჩნდა, რომ საქართველო არის მსოფლიო ჩემპიონი ამ კუთხით, რადგან 5%-ზე მეტი ადვოკატი ზის ციხეში. თან 95% თაღლითობის ბრალდებით. თაღლითობის შემადგენლობა რა არის, ყველამ კარგად იცის. ოღონდ ადვოკატი დაეჭირათ, კლიენტს ეუბნებოდნენ, გაგიშვებთ, დაწერე, რომ 10 ათასი მიეცი და ამან 100 ლარი გააფორმაო. სხვა მტკიცებულება საქმეებში არ არსებობდა. მტკიცების ტვირთი იყო დაზარალება და მეტი არაფერი.

ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის შესახებ დასკვნა დაიდო, არც ერთმა ტელევიზიამ არ გააშუქა. ერთ-ერთმა, მთლიანად თავისუფალმა ტელევიზიამ მიმიწვია ამის გასაშუქებლად, მაგრამ რომ მივდიოდი, გზაში დამირეკეს, შეგვეშალა, მოწვეული არ ხართო. ერთ კვირაში მიმიწვია „თრიალეთმა" და იქ მიმავალსაც გზაში მაცნობეს, ბოდიში, შეგვეშალა თქვენი მოწვევაო. ეს არის დახურული თემა. ამის თაობაზე მე ვწერ ევროპის ადვოკატთა ასოციაციას და არსებული ფაქტების თაობაზე იბეჭდება ყველა მოწინავე გაზეთში, რომ ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნა ხდება საქართველოში.

შემდეგ ევროპის ადამიანის უფლებათა კომისარს, ბატონ თომას ჰამერბერგს ვწერ, რომ ჩვენი ადვოკატი გოგონები ცუდ დღეში არიან.

2010 წლის ნოემბერში ჩავდივარ ბრიუსელში და ვესწრები ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის არჩევნებს და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას. პირველი საკითხი გადის საქართველოზე და 2 საათიანი სხდომიდან საათი და 40 წუთი ეთმობა საქართველოს. ეს მართლა უპრეცედენტო შემთხვევაა. იმდენი დარღვევა ხდება, რომ რეაგირებას ვერ ვასწრებთ.

2011 წლის მაისში ტარდება პლენარული სესია (სანამ 26 მაისის დარბევა მოხდება) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ვაწევრიანებთ მსოფლიოს ადვოკატთა ასოციაციაში, რომლის წევრიც ჩვენ არ ვიყავით. იქამდე ერთი კვირით ადრე მე ვესწრები ევროპის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას და ვითხოვ, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ჩატარდეს თბილისში. მათ ვუთხარი, თუ თქვენ არ ჩამოხვალთ, თავისუფალი პროფესია მოკვდება და ადვოკატურაც განადგურდება-მეთქი. ისეთი სიტუაციაა შექმნილი ამ მომენტში, პოლიტიკური დახმარება მჭირდება.

მაისში ჩავდივარ ლუქსენბურგში და ჩემდა მოულოდნელად, აღმასრულებელი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას, სხდომა თბილისში ჩაატაროს, რადგან ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნაა. თან ის დამეხმარა, ხოსე მარია დავო ფერნანდესმა სააკაშვილს წერილი რომ მოსწერა, სააკაშილმა არ უპასუხა. ამაზე ის გაგიჟდა, პრეზიდენტი ვარ და პასუხი არ უნდა მომწეროს.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტი ჩამოდის და აქ ატარებს სხდომას. ამის შემდეგ იდება დასკვნა და ჩვენს ქალბატონებს ვეღარავინ ეკარება და ადვოკატი მამაკაცებიც საპატიმროებთან რიგებში აღარ დგანან. ევროპის ადვოკატთა ობსერვატორიის წარმომადგენლები რომ ჩამოვიდნენ, ერთ დღეში ადვოკატები საპატიმროებთან რიგებში უკვე აღარ იდგნენ, ანუ ხელოვნური ბარიერები იქმნებოდა. ადვოკატი საპატიმროში რომ შედიოდა და კლიენტს ელაპარაკებოდა, თავზე ედგა ზედამხედველი. ასევე ეწერა დასკვნაში. ეს ორი რამ 2010 წლის დეკემბრის შემდეგ შეიცვალა. ერთ-ერთ ადვოკატს ჰქონდა ხელოვნური მკერდი. ხელოვნური მკერდი მოხსნეს, საპატიმრო დაწესებულებაში ნარკოტიკი ხომ არ შეგაქვსო და კომაში ჩავარდა. ასე დასცინოდნენ ადვოკატებს.

მიუხედავად ყველაფრისა, ნაციონალების ხელისუფლება არ ისვენებს. ხდება ადვოკატ ვლადიმერ ტაბაღუაზე თავდასხმა, რომელსაც ციხიდან გამოჰქონდა ნაწამები პატიმრის განცხადება. დაიჭირეს და განცხადება დაახევინეს, 2 საათი ჩაკეტილი ჰყავდათ და ჟურნალისტმა დარეჯან მეფარიშვილმა უშველა, რომელთანაც დარეკა. ამიტომ დეკემბერში ხდება უპრეცედენტო მოვლენა და ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ხოსე მარია დავო ფერნანდესი სააკაშვილს წერს წერილს, ადვოკატებთან მიმართებაში უნდა იმოქმედო 1990 წლის გაეროს დადგენილებით, რითაც მთელი ცივილიზებული სამყარო ურთიერთობს ადვოკატებთანო. მინისტრთა კომიტეტმა ეს გადმოიტანა თავის დადგენილებაში. იქ წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობას ხელი შეუწყოს. ადვოკატმა თავისი უფლებამოსილება უნდა განახორციელოს შანტაჟის, დაშინებისა და ყოველგვარი ჩარევის გარეშე. ეს არის საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნა, რომელიც კონსტიტუციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაზე მაღლა დგას.

აღნიშნული წერილისა და თომას ჰამერბერგის დასკვნის შემდეგ საქართველოში ადვოკატთა მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, მაგრამ ისე არა, როგორც მე მინდოდა. ამიტომ ვთხოვ ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიას, იმის გამო, მათი დასკვნიდან 6 თვის განმავლობაში რა დარღვევებიც მოხდა, ჩამოვიდნენ თბილისში. ამ მომენტში ხმაურდება მალხაზ არქანიას საქმე და პირველად მე ვამბობ, ციხეებში პატიმრებს აუპატიურებენ და მომეხმარეთ-მეთქი. ასეთია მოკლე ისტორია ჩვენი ბრძოლისა, ადვოკატების ინსტიტუციონალური დევნის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

სააკაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მინისტრის საქციელს გმობს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „დინამო არენაზე" მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ქართველი ახალგაზრდები კანონების სრულ დაცვით მოქმედებდნენ და პოლიცია მათ მიმართ პოლიტიკურად მოტივირებულ იყო.

„მინდა გუშინწინდელ და გუშინდელ მოვლენებს გამოვეხმაურო. მიმაჩნია, რომ ის, რაც გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე მოხდა და რაც დღეს გრძელდება, ძალიან ბევრს მეტყველებს იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო, რა გამოწვევების, რა საფრთხეების წინაშე ვიმყოფებით დღეს ჩვენ და რა რისკებია მომავალში, თუ ეს ყველაფერი ასე გაგრძელდება.

გუშინწინ გაიმართა მატჩი, რომელსაც მე პირადად ძალიან მივესალმები. მივესალმები და პირადად ვიყავი ინიციატორი იმისა, რომ რუსი ტურისტებისთვის სავიზო რეჟიმი ცალმხრივად გამარტივებულიყო, რის შედეგადაც ბევრმა მათგანმა უკვე შაშანდა შაშანწინ დაიწყო ჩამოსვლა. ყოველთვის კმაყოფილი ვარ, როდესაც არის კონტაქტები კულტურული, სპორტული და ტურისტების დონეზე. ეს ხალხთაშორის ურთიერთგაგებისთვის არის კარგი. ეს კარგია ჩვენი უსაფრთხოებისთვის, ეს კარგია ჩვენი ეკონომიკისთვის.

თავი რომ დავანებოთ იმას, სტადიონზე გულ-

შემატკივრები რა ლოზუნგებით ჩამოვიდნენ ან როგორ იქცეოდნენ, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ჩამოიყვანეს რუსეთის დუმის დეპუტატი, რომელსაც 2008 წელს საქართველოს დანაწევრებისთვის და ჩვენი რეგიონებისთვის, აფხაზეთის და ცხინვალის დამოუკიდებლობისთვის აქვს ხმა მიცემული.

ამას გარდა, ეს კაცი აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგაც იბრძოდა. ინფორმაციით, რომელიც მე გამაჩნია, და ჩვენ ძირითადად, რუსეთში ღია წყაროებს ვეყრდნობით, – ეს კაცი რუსეთის სპეცსამსახურებთანაც აქტიურად არის დაკავშირებული. ის ფაქტობრივად საქართველოს დაუძინებელი მტერი, საქართველოს წინააღმდეგ აგვისტოს აგრესიის ერთ-ერთი პასუხისმგებელი და საქართველოს დაქუცმაცების მცდელობის ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირია.

ამიტომ, ერთია, როდესაც შენს ტერიტორიაზე უშვებ ტურისტს, სპორტსმენს და ამას უნდა მივესალმოთ და მეორეა, როდესაც უშვებ საქართველოს მტერს. მინდა ვთქვა, რომ დუმის ყველა წევრი, რომელმაც 2008 წელს საქართველოს დაქუცმაცებას მისცა ხმა, დღეს-დღეობით, სანამ ვითარება არ შეცვლილა, საქართველოსთვის რისკს და მტრულ ფაქტორს წარმოადგენს.

ის ვინც გუშინ ჩამოიყვანეს, ამ ფარგლებს ბევრად უფრო სცდება და რა თქმა უნდა ასეთი ადამიანების საქართველოში შემოშვება არ შეიძლება, თუ ჩვენ ღირსება, თავმოყვარეობა და ქვეყნის სიყვარული გვაქვს.

ამიტომ მე მინდა დავგმო სასაზღვრო სამსახურის, ამ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრის საქციელი, რომელმაც საქართველოს მტრის ასე დაუსჯელად ჩამოსვლა და ჩვენს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილება დაუშვა, რა მოტივებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს განპირობებული.

მეორე, გუშინ სტადიონზე მისული იყო ადამიანების ჯგუფი, რომელიც, რასაც მე ვუყურე და ვნახე, კანონების სრული დაცვით მოქმედებდა. მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებიც იყვნენ და ამ სუბიექტის საქართველოში ვიზიტს აპროტესტებდნენ. იმავე საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, რომელმაც ეს რუსის დეპუტატი შემოუშვა, ახალგაზრდების მიმართ გამოიყენეს გადამეტებული ძალა და აღკვეთეს მშვიდობიან ფარგლებში გამოხატული მათი კონსტიტუციური უფლება.

მე ვარ მომხრე იმისა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი ყველამ დაიცვას მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, მაგრამ რაც გუშინ ვნახე, ეს იყო პოლიციის პოლიტიკური შინაარსის ქმედება. ეს ახალგაზრდები დააკავეს და მე კატეგორიულად მივმართავ და ვთხოვ ღარიბაშვილს, რომ ეს ადამიანები გაათავისუფლოს, – განაცხადა სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

შსს-მ ჭორვილაში განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ჭიათურის რაიონული სამმართველოს და საჩხერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით 1990 წელს დაბადებული ვალერი ჩ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 ივლისს, საჩხერის რ-ნის სოფელ ჭორვილაში ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა სამი მოქალაქე, მათ შორის სასულიერო პირი. დაშავებულებს სხეულის სხვადასხვა მიდამოში მრავლობითი ნაკვეთი ჭრილობები აღენიშნებათ. სამივე მათგანი საჩხერის რაიონულ საავადმყოფოშია მოთავსებული. სამართალდამცველებმა დაჭრაში ბრალდებული ვალერი ჩ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში საჩხერის რ-ნის სოფელ ჭალაში დააკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

პირველი

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს

სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წალენჯიხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულისათვის 1965 წელს დაბადებული გიორგი კ. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა წალენჯიხაში დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა", ეზოს დათვალიერებისას კი 35 ძირი კანაფი ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, სულ ამოღებულია 9კგ და 208გრ „მარიხუანას" შემცველი ნედლი კანაფი და 2,26გრ გამომშრალი „მარიხუანა".

ნარკოლოგიურმა შემოწმებამ დაადგინა, რომ გიორგი კ. დაკავების მომენტში „მარიხუანას" ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტზე მიმდინარეობს.

პირველი

ეკა ირემაშვილი

საქართველო რუსულ-ქართულ პოეტურ ფესტივალს უმასპინძლებს

„სიტყვა ხმით" – ასე ეწოდება საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც ქართულ და რუსულ პოეზიას გააერთიანებს. ფესტივალი 13-22 ივლისს მეექვსედ ჩატარდება. საქართველოში შეიკრიბებიან წამყვანი პოეტები 30 ქვეყნიდან. პროექტის ორგანიზატორები არიან საერთაშორისო ჯეტეკულ-საგანმანათლებლო ჯავშირი „ჩუსული ჯღები" და ჩუს მწერალთა საერთაშორისო ფედერაცია. ფესტივალი საქველმოქმედო ფონდ „ქართულ" მხარდაჭერით ხორციელდება.

როგორც რუსული კლუბის პიარ მენეჯერი ნინო წითლანაძე აცხადებს:

– წელს ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 70-ე მეტი პოეტი და მთარგმნელი რუსეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, დიდი ბრიტანეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. რიგით მეექვსე საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალის მონაწილეები არიან მარინა კალაშნიკოვა (ავსტრია), ალინა თალიბოვა (აზერბაიჯანი), დავით მათევოსიანი (სომხეთი), კარინე ხალათოვა (სომხეთი), ვალენტინა პოლიკანინა (ბელორუსი), სვეტლა გეორგიევა (ბულგარეთი), ნადია პოპოვა (ბულგარეთი), ლიდია გრიგორიევა (დიდი ბრიტანეთი), ოლეგ ვოლოვიკი (უნგრეთი), ქსენია ზახაროვა (უნგრეთი), დანიილ ჭყონია (გერმანია), არსენი როვინსკი (დანია), დავით მარკიში (ისრაელი), მარია იგნატიევა (ესპანეთი), ბახიტჯან კანაპიანოვი (ყაზახეთი), ბახით კენეევი (კანადა), სერგეი ტიმოფეევი (ლატვია), იური კობრინი (ლიტვა), ვიქტორია ჩემბარცევა (მოლდოვეთი), პიოტრ მინცერი (პოლონეთი), ელენა ივანოვა-ვერხოვსკაია (რუსეთი), ელენა ისაევა (რუსეთი), ანდრეი კოროვინი (რუსეთი), მანანა მენაბდე (რუსეთი-გერმანია), ნიკა ნიკვაშვილი (რუსეთი), ირინა პოვოლოცკაია (რუსეთი), გალინა პოლიდი (რუსეთი), იური რიაშენცევი (რუსეთი), ფეოდორ სვაროვსკი (რუსეთი), სერგეი ჩუპრინინი (რუსეთი), ოლეგ ჩუხონცევი (რუსეთი), ანა შულგატი (რუსეთი), მიხაილ იასნოვი (რუსეთი), ზლატა კოციჩი (სერბეთი), ვალერი კუპკა (სლოვაკეთი), ნანა ღონღაძე (აშშ), ევგენი აბდულაევი (უზბეკეთი), განა შევჩენკო (უკრაინა), პოლინა კოპილოვა (ფინეთი), იური იურჩენკო (საფრანგეთი), ალექსანდრ რადაშკევიჩი (საფრანგეთი), რიმა მარკოვა (შვედეთი), ელენა სკულსკაია (ესტონეთი), გიორგი ასანიშვილი (საქართველო), შალვა ბაკურაძე (საქართველო), მაყვალა გონაშვილი (საქართველო), ანა გრიგალაშვილი (საქართველო), ბათუ დანელია (საქართველო), შოთა იათაშვილი (საქართველო), ემზარ კვიტაიშვილი (საქართველო), ირინა მეღვინეთუხუცესი (საქართველო), ზვიად რატიანი (საქართველო), ვლადიმერ სარიშვილი (საქართველო), დავით ტურაშვილი (საქართველო), ბესო ხვედელიძე (საქართველო), კატო ჯავახიშვილი (საქართველო), ნიკა ჯორჯანელი (საქართველო) და ერეკლე შველიძე (საქართველო). უცხოელ კოლეგებს უმასპინძლებენ ცნობილი ქართველი ლიტერატორები. ფესტივალს ეწოდება „სრული ხმით" და ის ეძღვნება ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 85 წლისთავს და ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიან 120 წლისთავს. ათი დღის განმავლობაში პოეტური მარათონი მოიცავს 17 ქალაქს – თბილისი, რუსთავი, გორი, ახალქალაქი, მარნეული, ფოთი, ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, მარტვილი, ზუგდიდი, ჩოხატაური, ოზურგეთი, ბაღდათი და ქუთაისი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება მრგვალი მაგიდები, შემოქმედებითი შეხვედრები, მასტერ-კლასები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, სპექტაკლები, ფილმების ჩვენებები და ასევე მანანა მენაბდეს კონცერტი „სიზმრები საქართველოზე. ეძღვნება დებ იშხნელებს" და კონცერი „ჯაზური ტრანსფორმაციები" ანდრეი მაკარევიჩის მონაწილეობით. სპეციალურად ბიენალესთვის „რუსულმა კლუბმა" გამოუშვა თარგმანების კრებული „გზაჯვარედინი", ვლადიმერ მაიაკოვსკის ლირიკის წიგნი „სამარადისოდ დაჭრილი სიყვარულისგან", ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების რუსულ-ქართული კრებული, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის არსენ ერემიანის რჩეული ნაწარმოებების წიგნი „დამიძახე, როგორც შვილს", პროფესორ ნატალია ორლოვსკაიას კრებული „ნარკვევები ლიტერატურული კავშირების საკითხებისთვის". ყველა გამოცემის პრეზენტაცია გაიმართება ფესტივალის დღეებში.

ნინო წითლანაძის თქმით, პროექტის მიზნად ექვსი წლის განმავლობაში რჩება კულტურული პლატფორმის შექმნა საზღვარგარეთ ქართული ლიტერატურის, ხოლო საქართველოში – რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის. ფესტივალი ემსახურება თანამედროვე ლიტერატურული ურთიერთობების მხარდაჭერას და ქართველ და უცხოელ პოეტებს შორის ერთობლივი, უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელობითი პროექტების შექმნას.

– ფესტივალის მონაწილეები საქართველოში 13 ივლისს ჩამოვლენ და სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" განთავსდებიან. 14 ივლისს ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეზე ფესტივალის სტუმრები მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში შეიკრიბებიან და ნოდარ დუმბაძის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მის საფლავს გვირგვინით შეამკობენ. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩატარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ევერიის სინათლე. XX საუკუნის რუსულ-ქართული პოეტური კავშირები", გაიმართება პროფესორ ნატალია ორლოვსკაიას კრებული „ნარკვევები ლიტერატურული კავშირების საკითხებისთვის". ყველა გამოცემის პრეზენტაცია გაიმართება ფესტივალის დღეებში.

ნინო წითლანაძის თქმით, პროექტის მიზნად ექვსი წლის განმავლობაში რჩება კულტურული პლატფორმის შექმნა საზღვარგარეთ ქართული ლიტერატურის, ხოლო საქართველოში – რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის. ფესტივალი ემსახურება თანამედროვე ლიტერატურული ურთიერთობების მხარდაჭერას და ქართველ და უცხოელ პოეტებს შორის ერთობლივი, უპირველეს ყოვლისა, მთარგმნელობითი პროექტების შექმნას.

– ფესტივალის მონაწილეები საქართველოში 13 ივლისს ჩამოვლენ და სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" განთავსდებიან. 14 ივლისს ნოდარ დუმბაძის დაბადების 85 წლისთავისთვის დელეგაცია მწერლის მშობლიურ კუთხეში გურრიაში გაემგზავრება. ფესტივალის სტუმრები ჩოხატაურში ნოდარ დუმბაძის ძეგლს ყვავილებით შეამკობენ, დათვალიერებენ მწერლის სახლ-მუზეუმს სოფელ ხიდისთავში, ჩატარდება პოეტური ზეიმი „მე ვხედავ მზეს", შედგება ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების რუსულ-ქართული კრებულის „კეთილი ლექსები" პრეზენტაცია. ამავე დღეს ბათუმში ჩატარდება ფესტივალის მონაწილეთა პრეს-კონფერენცია თბილისის საერთაშორისო პრესცენტრ რია-ნოვოსტიში. ფესტივალის პირველ ღონისძიებას დაასრულებს თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დიდი დარბაზის ფოიეში წარმოდგენილი ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი „მე ვხედავ მზეს", მიძღვნილი ნოდარ დუმბაძის დაბადების 85-ე წლისადმი. კონკურსზე მოხდება გამარჯვებულებისა და ლაურეატების დაჯილდოვება და დიდ დარბაზში ფესტივალის გახსნის საზეიმო ცერემონია ჩატარდება, – ამბობს ნინო წითნალაძე.

საერთაშორისო ფესტივალის პროგრამა უკვე გაწერილია: 15 ივლისს დაგეგმილია აუდიენცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსთან, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტთან, უწმინდესსა და უნეტარესთან ილია მეორესთან, ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი წარმოადგენს შემოქმედებით შეხვედრას დავით მარკიშთან (ისრაელი), საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში შედგება შემოქმედებითი შეხვედრა ვალენტინა პოლიკანინასთან (საქართველოში ბელორუს თანამემამულეთა კავშირ „სიაბრი"-სთან ერთად) სახელწოდებით „კიდევ ანთია ბედის სანთელი". მოეწყობა ფესტივალი-რესტორაცია „დივანი". წარდგენილი იქნება ლექსების კრებული „გზაში" – ლიტერატურული გაერთიანება „მოლოტოკის" და შვედური კავშირის „ვსტრეჩას" ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია. ჩატარდება ლიტერატურული გაერთიანება „მოლოტოკის" საფესტივალო გაზეთის პრეზენტაცია, რომელსაც რიმა მარკოვა (შვედეთი) გაუძღვება. ჩატარდება ელენა ისაევას (რუსეთი) მასტერ-კლასი ლიტერატურული გაერთიანება „მოლოტოკის" წევრებისათვის. ამავე დღეს ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ალექსანდრ ვერტინსკის საქართველოში პირველი გამოსვლიდან 65-წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებაა დაგეგმილი. თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი კი წარმოადგენს სპექტაკლს „ყვითელი ანგელოზი".

16 ივლისს ფესტივალის მონაწილეები გაემგზავრებიან ბათუმში.

– მათ ჩვენ განვათავსებთ სასტუმრო „ალიკში", დავათვალიერებინებთ ბათუმის ბულვარს, ალექსანდრე პუშკინის ძეგლის შევამკობთ გვირგვინით. ჩატარდება „პოეზიის ზეიმი" ბათუმის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, – აღნიშნავს ფესტივალის პიარ მენეჯერი.

17 ივლისს ნოდარ დუმბაძის დაბადების 85 წლისთავისთვის დელეგაცია მწერლის მშობლიურ კუთხეში გურრიაში გაემგზავრება. ფესტივალის სტუმრები ჩოხატაურში ნოდარ დუმბაძის ძეგლს ყვავილებით შეამკობენ, დათვალიერებენ მწერლის სახლ-მუზეუმს სოფელ ხიდისთავში, ჩატარდება პოეტური ზეიმი „მე ვხედავ მზეს", შედგება ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების რუსულ-ქართული კრებულის „კეთილი ლექსები" პრეზენტაცია. ამავე დღეს ბათუმში ჩატარდება საღამო სახელწოდებით „ვიხსენებთ რავილ ბუხარაევს". წამყვანები ლიდია გრიგორიევა (დიდი ბრიტანეთი) და ალექსანდრე რადაშკევიჩი (საფრანგეთი) იქნებიან.

18 ივლისს პოეტური შეხვედრები ჩატარდება ფოთში, ხელვაჩაურში, ქედაში, ქობულეთში, შუახევში და მარტვილში. პიაცას მოედანზე მანანა მენაბდე ჩაატარებს კონცერტს „სიზმრები საქართველოზე. ეძღვნება დებ იშხნელებს".

19 ივლისს ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 120 წლისთავისთვის ფესტივალის მონაწილეები გაემგზავრებიან ბაღდათში, სადაც ესტუმრებიან ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს, მოეწყობა პოეზიის ზეიმი „ვალში ვარ თქვენთან, მოწმენდილო, ბაღდათის ზეცავ", ასევე ვლადიმერ მაიაკოვსკის ლირიკული კრებულის „სამარადისოდ დაჭრილი სიყვარულისგან" პრეზენტაცია. დაგეგმილია ვლდადიმერ მაიაკოვსკის ძეგლის ყვავილებით შემკობა. ბაღდათის კულტურულ ცენტრში მოეწყობა დოკუმენტური ფილმის „პოეტის ქალიშვილი" პრეზენტაცია (რეჟისორი ნ.ღონღაძე, აშშ), ასევე 1918 წლის მხატვრული ფილმის „ქალიშვილი და ხულიგანი" ჩვენება ვლადიმერ მაიაკოვსკის მონაწილეობით (რეჟისორი ე.ლლავინსკი).

– იმერეთში ვიზიტისას დაგეგმილია ქუთაისში XI საუკუნის არქიტექტურული ძეგლის ბაგრატის ტაძრის დათვალიერება, მაიაკოვსკის ძეგლის ყვავილებით შემკობა ქუთაისში პირველი სკოლის წინ. თბილისში საქართველოში სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და narკოტიკულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

ორი დინამოს ჯაჭი — ისევ ფრე

დინამო (თბ) – დინამო (მ) 1:1

თბილისი. დინამო არენა
0:1 სობოლევი (2), 1:1 ჩისკო (74)

დინამო (თბ): ლორია, კვარაცხელია (შაშიაშვილი 80), უსტარიცი, სეთურიძე, კვირკველია (გლიშჩი 68), ძარია, ხმალაძე, გრაიციარი (პაპავა 73), მერებაშვილი (ლექვთაძე 65), დვალი (გრიგალაშვილი 58), ჩისკო (ხოჭოლავა 88)

დინამო (მ): შუნინი, ფერნანდესი, იუსუპოვი (ფლორესკუ 46), სმოლოვი (პანიუკოვი 78), ეპურეანუ, ნობოა (ზობნინი 74), ვორონინი (ჯუჯაკი 75), უილკშირი (შიტოვი 46, როტენბერგი 88), ლომიჩი, სობოლევი(გატაგოვი 46), სოლომატინი (ტაშაევი 88)

„დინამო არენამ“ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს უმასპინძლა, რომელშიც ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“ დაუპირისპირდნენ. საკმაოდ დაძაბული და უშეღავათო მატჩი, რომელმაც გულშემატკივართა ინტერესი გამოიწია, ფრედ 1:1 დასრულდა. სანამ უშუალოდ შეხვედრაზე ვისაუბრებთ, აუცილებლად აღნიშვნის ღირსია საპატიო სტუმრების ის რაოდენობა და ხარისხი, რომელიც „დინამოების“ დერბს ესწრებოდა.

რუსეთის დედაქალაქიდან მარა-ვალერიცხოვანი სტუმრებთან ერთად, აღნიშნულ შეხვედრაზე ყოფნის პატივი თავად მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა ვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ დაგვდო, რომელიც ვიპლოჟაში მის მეგობარ გოგონასთან, რუს მოდელთან ირინა შეიკთან ერთად იმყოფებოდა. აღნიშნულ შეხვედრას მის გარდა, უკრაინელი ფეხბურთის ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი კახი კალაძეც ესწრებოდნენ. „რეალის“ ვარსკვლავმა „დინამო არენა“ პირველი ტაიმის დასრულებამდე დატოვა.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ მატჩს: ორივე გუნდისთვის ბოლო სეროზული სპარინგი იყო, ოფიციალური სეზონის დაწყების წინ. თუ მოსკოველებს ერთ კვირაში რუსეთის პრემიერლიგის პირველი ტური ელით, ჩვენი ჩემპიონი 16-17 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიწყებს ასპარეზობას. საკადრო პრობლემების წინაშე უფრო ჩვენ სტუმრები იდგნენ.

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე მოსკოველთა რუმინელ დამრიგებელს დან პეტრესკუს არც დაუმალავს ამის შესახებ. იმის გარდა, რომ გუნდი დატოვა კოკორინმა, რომელიც კარერას „ანჟიში“ 19 მილიონის სანაცვლოდ გააგრძელებს, „დინამოს“ ტრავმირებული ჰყავს ძირითადი ფორვარდი კევინ კურანი და კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი გრანატი. ამ მხრივ თითქმის დანაკლისების გარეშე იმყოფება თბილისის „დინამო“, რომელიც ავსტრიული შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, პირველ საკონტროლო შეხვედრას მართავდა. მიუხედავად, გულშემატკივრის მოლოდინისა, ახალი ფეხბურთელები არც ამ მატჩისთვის გამოჩენილან დინამოელთა რიგებში, თუმცა როგორც ჩვენთან საუბრისას გუნდის სპორტულმა დირექტორმა ბუბა ტყავაძემ განაცხადა, კლუბის გაძლიერების პროცესი დასრულებული არ არის და ამ მხრივ სიახლეები შეიძლება კიდევ იყოს მოსალოდნელი.

რაც შეეხება უჭრინის მიერ დაყენებულ სასტარტო შემადგენლობას, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად მოსალოდნელი თერთმეტეული გავიდა მოედანზე. მატჩის საწყისი წუთები კი ნამდვილად არ აღმოჩნდა ჩვენთვის სასიკეთო, მეორე წუთზე „დინამოს“ მცველების უყურადღებობას სობოლევის შედეგიანი დარტყმა მოჰყვა და ანგარიშიც გაიხსნა – 0:1.

დაუგეგმავი გოლის შემდეგ, დინამოელები უმალ შეტევაზე გადავიდნენ და უპირატესობასაც დაუფლნენ. საკმაოდ აქტიური იყო გიორგი მერებაშვილი, რომლის სახიფათო გარღვევებს მცველები ბოლო მომენტში უმკლავდებოდნენ. კარისკენ რამოდენიმეჯერ სახიფათოდ ურტყამდნენ ძარია, დვალი, უსტარიცი და გრაიციარი, მაგრამ ყველა შემთხვევაში მოსკოველთა მცველები ან მეკარე კარისკენ გაგზავნილ ბურთს იგერიებდნენ.

დინამოელთა იერიშებს, ნობოამ და სობოლევმა უპასუხეს შორეული დარტყმებით. თუ პირველ შეთხვევაში ექსრუბინელი არაზუსტი იყო, პირველი გოლის ავტორს ლორიამ აუღო. ტაიმის ყველაზე სახიფათო მომენტი კი კვლავ მერებაშვილის აქტიურობას მოჰყვა – „დინამოს“ ათიანმა მოედნის სიღრმიდან წამოიწყო სოლო რეიდი და მცველებთან ორობარძოლაში კარისკენ გაგზავნა ბურთი, უცნაური ტრაექტორიით მიმავალი მრგვალი საგანი კი შუნინის კარის ხარიხამ აისხლიტა. მეკარე სრულიად უშანსოდ იყო. საბოლოო ჯამში კი უჭრინის შეგირდებმა შეხვედრის პირველი ნახევარი საკმაოდ დამაჯერებლად ჩაატარეს და ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში ალოგიკურის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მეორე ნახევრის სტარტზე პეტრესკუმ ერთბაშად სამი ცვლილება განახორციელა. ტაიმის განახლებიდან სამ წუთში კი ნობოას შორეული გასროლა ლორიამ კუთხურზე მოიგერია. ორ წუთში თბილისელებმა სწრაფი იერიშით უპასუხეს – დვალმა ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა ჩისკო, თუმცა ესპანელის დარტყმული ბურთი მცირედით ასცდა მეტოქის კარს. მორიგი სახიფათო მომენტიც მოსკოველთა კართან შეიქმნა – კიდევ ერთი სწრაფი იერიშის შემდეგ, გრაიციარმა ძარიას დაუგორა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა საქმეში ისევ მცველები ჩაერთვნენ და საკუთარი კარი გოლისგან იხსნეს. მალევე შუნინს შეცვლაზე შემოსული გრიგალაშვილის დარტყმულის მოგერიება მოუხდა.

„დინამოს“ ახლაწვეული მოედანზე მერებაშვილის ნაცვლად შემოვიდა. ანგარიშიც მალევე გათანაბრდა, თუმცა მანამდე დუშან უჭრინს იძულებითი ცვლილების განხორციელება მოუხდა – ერთ-ერთი ორთაბრძოლისას პიტერ გრაიციარი დაშავდა და შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო. მის ნაცვლად კი თამაშში გიორგი პაპავა ჩაერთო. რაც შეეხება სლოვაკის მდგომარეობას, მისი დიაგნოზი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. იმედი დავიტოვოთ, რომ სერიოზული არაფერია, ვინაიდან იგი ნამდვილად დიდი დანაკლისი იქნება ევროსეზონის წინ.

რაც შეეხება გოლს, იგი 74-ე წუთზე გავიდა. ჩვენი მცველების დაშვებული შეცდომა, მოსკოველებმა „უკან დაგვიბრუნეს“, რაც ჩისკოსთვის საკმარისი აღმოჩნდა, რომ შუნინის კარის ბადე შეერხია და ანგარიში გაეთანაბრებინა – 1:1.

შეხვედრის დასრულებამდე, გუნდებმა მომენტები გაცვალეს. ჯერ პანიუკოვი დუსხლტა ჩვენ დაცვას, თუმცა დარტყმა გაუცუდდა. შემდეგ კი გიორგი პაპავას შესრულებით საჯარიმო დარტყმა შუნინმა რის ვაი-ვაგალახით მოიგერია. საბოლოოდ კი დინამოების დერბი, მშვიდობიანად, 1:1 დასრულდა.

პ.ს. მოსკოვურ კლუბს თბილისში ფანების გამოჰყვნენ, რომლებიც აღნიშნულ შეხვედრას დაესწრნენ და მათთვის ტრიბუნებზე გამოყოფილ ადგილას თავის საყვარელ გუნდს ქომაგობდნენ. შეხვედრის მიმდინარეობისას, ერთი საკმაოდ უსიამოვნო ფაქტი მოხდა – მოსკოვური კლუბის ფანები საკმაოდ უსიამოვნო საქციელით გამოირჩნენ. საქმე კი იმაშია, რომ მათ თავის სექტორში იმპერიალისტური ბანერები გამოიყენეს და ამავე ხასიათის დროშები აფრიალეს, რითაც თბილისის „დინამოს“ ფანკლუბის მიერ გაკეთებულ ბანერს გამოეხმაურნენ, რომელზეც ეწერა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო – საქართველოს ტერიტორიაა. მეორე ტაიმის დასაწყისში „გლადიატორებმა“ პროტესტის ნიშნად თავისი ტრიბუნა დატოვეს და მანამდე არ დაბრუნდნენ, სანამ აღნიშნული ბანერები არ მოიხსნა და დროშების ფრიალი არ შეწყდა.

როლანდ გაფრინდაშვილი, თბილისის „დინამოს“ ფანკლუბის ხელმძღვანელი:

– მოსკოვის „დინამოს“ ფანებთან წინასწარ შევთანხმდით, რომ იმპერიალისტური დროშებით არ უნდა ჩამოსულიყვნენ. როგორც ხედავთ, მათ ეს შეთანხმება დაარღვიეს. გადავწყვიტეთ ეს დროშები ჩვენით მოგვეხსნა, რის შემდეგაც ჩვენ პოლიცია დაგვიპირისპირდა. შესაბამისად, პროტესტის ნიშნად, ტრიბუნის დატოვება გადავწყვიტეთ.

მატჩის შემდეგ

დან პეტრესკუ:

– კარგი თამაში იყო. ჩვენთვის ნაყოფიერი სპარინგი შედგა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში ჩვენ სასარგებლოდ იყო, პირველ ნახევარში მეტოქე დიდ უპირატესობას ფლობდა. მეორე ტაიმში თანაბარი თამაში იყო. გოლის გატანა ჩვენც შეგვეძლო, თუმცა აქეთ გავუშვით და მატჩი ფრედ დასრულდა, რაც ვფიქრობ ლოგიკური შედეგია. მსუბუქად ნამდვილად არ გამოვიყურებოდით, შესაძლოა ეს სიცხის ბრალიცაა. თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ მეორე ნახევტრაში ახალგზრდებსაც მივეცით თავის გამოჩენის საშუალება. სეზონის დაწყების წინ, ჩვენ კვლავ სიახლეების მოლოდინში ვართ. მუდმივად მესმის, რომ ახალი ფეხბურთელები მოვლენ და იმედია უახლოეს დღეებში მსგავსია რამ ნამდვილად მოხდება.

დუშან უჭრინი:

– ვფიქრობ კარგი თამაში გამოვიდა. მეორე ტაიმში ოდნავ დაბალი ტემპი იყო, ვინაიდან ბევრი ცვლილება გავაკეთეთ. მეტოქე საკმაოდ ძლიერი იყო, ამ შედეგით კმაყოფილი ვარ. ბევრი მონენტი გვქონდა გოლის გატანის, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ვცდოდავდით. მთლიანობაში ორი უხეში შეცდომა დავუშვით, ერთ-ერთ მათგანს კი ჩვენს კარში გაშვებული გოლი მოჰყვა.

– თუ გამოყოფდით კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელს?

– მოედნის ცენტრში, ძარიამაც და ხმალაძემაც მიცემული დავალებები ბოლომდე შეასრულეს. თუმცა მიმაჩნია, რომ გუნდიდან ვინმეს გამოყოფა არასერიოზულია. ვიღაც უკეთ თამაშობს, ვიღაც უარესად, გუნდი ეს ერთი მთლიანი ორგანიზმია, რომელიც ერთად იგებს და ერთად აგებს.

– დღევანდელი მატჩიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, რამდენად მზად ხვდება კლუბი ახალ სეზონს?

– გუნდი ნამდვილად მზად არის ითამაშოს ევროტურნირებზე. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანია კიდევ უფრო გავძლიერდეთ. მე ყოველთვის ღიად ვამბობდი, რომ წარმატების მისაღწევად, ჩვენ კიდევ გვჭირდება ფეხბურთელები. კლუბში ყველა დაინტერესებულია, რომ რაც შეიძლება ძლიერი შემადგენლობით შევხვდეთ ახალ სეზონს.

– დინამომ ბოლო შეხვედრებში 4 გოლი გაუშვა და ოთხივე მატჩის საწყის ათ წუთში. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

– ყოველივე ეს კონცენტრაციის ბრალია. ფეხბურთელებმა იციან ამის შესახებ და ვეცდებით უახლოეს თამაშებში გამოვასწოროთ.

– დღევანდელმა მატჩმა, კიდევ ერთხელ ხომ არ დაგარწმუნათ იმაში, რომ კლუბს პრობლემები აქვს შეტევის დასკვნით ფაზაში და რომ აღნიშნული პრობლემა აუცილებლად სწრაფ გადაჭრას საჭიროებს?

– გასთვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ მეტოქეებად საკმაოდ ძლიერი გუნდები გვყავდა. გაცილებით ძლიერი, ვიდრე ეს საქართველოს ჩემპიონატშია. აქედან გამომდინარე, იმის ილუზია, რომ თუნდაც იგივე მოსკოვის „დინამოს“ 5:0 უნდა მოვუგოთ, არ გვაქვს. მთავარია გუნდი მზადაა ფიზიკურად, მზადაა ბოლომდე დაიხარჯოს, ირბინონ და თავი დადონ მოედანზე. თუ ყოველივე ამას შევასრულებთ, მე მჯერა რომ ჩვენ ჯგუფურ ეტაპზეც შევძლებთ ასპარეზობას.

ჩისკო:

– ძალიან კარგი მატჩი გამოვიდა. ყველამ მაქსიმუმი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. ახალი სეზონისთვის ვემზადებით. კარგ ფორმაში ვართ.

ჯაბა დვალი:

– ძალიან ბევრი გულშემატკივარი მოვიდა, რაც ძალიან სასიამოვნოა. დასანანი გოლი გავუშვით, თუმცა შემდეგ გამოვასწორეთ. საბოლოო ჯამში, თამაში გამოგვივიდა

ვლადიმერ სობოლევი:

– საინტერესო თამაში იყო. მოედანიც ძალიან კარგ მდგომარეობაშია. ძალიან კარგი გუნდი გყავთ. ვფიქრობ, რომ ანგარიში ლოგიკურია.

ანტონ შუნინი:

– პირველად ვარ საქართველოში, ძალიან მომეწონა თქვენი ქვეყანა. არაჩვეულებრივი მინდორია. თამაშიც კარგი გამოვიდა საბოლოოდ, მეგობრობამ გაიმარჯვა.

19-წლამდელებმა დატვირთები გაზარდეს

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების ლატვიური შეკრება გრძელდება. გუნდი უკვე ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდა. გია ცეცაძემ ნაკრები ჯერ დილით – 11 საათზე ავარჯიშა. საღამოს ვარჯიში კი, კვლავ 18 საათზე გაიმართა და ორ საათს გაგრძელდა. ნაკრების ვარჯიშები ყოველდღიურად უფრო ინტენსიური და საინტერესო ხდება – იტვირთება სხვადასხვა კომპონენტებით. ნაკრების სამწვრთნელო შტაბი მზადების გეგმას მკაცრად მიჰყვება. დღეს, შეკრებაზე ჩავა და გუნდს შეუერთდება ყაზანის „რუბინის“ ქართველი ფორვარდი ნიკა კაჭარავა.

გუნდში მშვენიერი განწყობაა და ფეხბურთელები გულმოდგინედ და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავრთნელ პროცესს.

ბაჩო არაბული:

– ყოველდღე იმაზე ვფიქრობ, როგორ ელოდება მთელი ქვეყანა 20 ივლისს და ჩემპიონატის დაწყებას. ჩვენი ოჯახები და ახლობლები ხომ საერთოდ... ჩვენს მოლოდინზე აღარ მაქვს ლაპარაკი. ჩვენ სულს და გულს დავდებთ სტადიონზე და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩემპიონატზე რაც შეიძლება წინ წავიდეთ. ფეხბურთი ისეთი რამაა, არავინ იცის რა მოხდება. შეიძლება ძალიან მაგრად ითამაშო, მაგრამ დამარცხდე. ჩვენ კი, ამის რისკი მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. რა მოხდება, ეს უკვე ღვთის ნებაა... თუმცა, უპირველესად, ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი გასაკეთებელი.

ჩვენი ნაკრები ერთი დიდი ოჯახია. რომ არა ერთმანეთთან ასეთი სიყვარული და ჯანსაღი ურთიერთობები, სხვანაირად არაფერი გამოგვივიდოდა.

ფაჩულია მილუოკიში ბრუნდება

ზაზა ფაჩულიამ ჯერ კიდევ 3 დღის წინ დაწერა საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე, რომ „ატლანტას“ ემშვიდობებოდა, თუმცა რომელ გუნდში გადავიდა, არ დაუკონკრეტებია. თუმცა, გაირკვა, რომ ქართველი ცენტრი „მილუოკი ბაქსს“ 3-წლიან და 15-მილიონიან კონტრაქტზე შეუთანხმდა.

თავისუფალ აგენტთა გუნდში აყვანა ნბა-ს კლუბებს 10 ივლისიდან შეეძლებათ, მანამდე კი ოფიციალურად ვერც ერთი მხარე ვერ დაადასტურებს ტრანსფერს. ამასობაში ფაჩულიამ იმავე „ფეისბუქზე“ დიდი მადლობა გადაუხადა ატლანტელ ფანებს და მათ თბილი სიტყვებით დაემშვიდობა. ხვალ ქართველი ფორვარდის „მილუოკიში“ გადასვლა საკარაუდოდ ოფიციალურად გამოცხადდება.

სანამ „ატლანტაში გადავიდოდა და იქ 8 სეზონს ითამაშებდა, ფაჩულიამ 2004-05 წლების სეზონი „მილუოკიში“ გაატარა, სადაც საშუალოდ 6,2 ქულას და 5,1 მოხსნას აგროვებდა.

შეგახსენებთ, რომ გასულ აპრილში ფაჩულიამ აქილევსის მყესზე ოპერაცია გაიკეთა და ევროპის ჩემპიონატის სამზადისში მყოფ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს გამოაკლდა.

თორნიკე შენგელიამ ორლანდოს ტრადიციულ საზაფხულო ლიგაზე პირველი მატჩი ითამაშა, მისმა „ბრუკლინმა“ კი, „დეტროიტ პისტონსთან“ 67:76 წააგო. ამ შეხვედრაში შედგა ჯეისონ კიდის, როგორც მწვრთნელის დებიუტი. ტანმორჩილმა, თუმცა უაღრესად ჭკვიანმა და სხარტმა გამთამაშებელმა სამწვრთნელო კარიერა „ნეთსში“ დაიწყო, სადაც საკუთარი კარიერის დიდი ნაწილი გაატარა.

კიდმა სადებიუტო მატჩში ტექნიკური მიიღო და ეს იმ ეპიზოდს მოჰყვა, რომელშიც თორნიკე შენგელია მონაწილეობდა. მატჩის ბოლო წუთებზე ფარქვეშ შეჭრილ დეტროიტელთა ახალბედა პეიტონ სილვაზე ქართველი ფორვარდი დაჯარიმდა, რის შემდეგაც, რამდენიმე წამში, კიდმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო. დებიუტანტ მწვრთნელს შენგელიაზე ჯარიმა არ გაუპროტესტებია, მან აღშფოთება დეტროიტელთა გამთამაშებლის არასპორტულ თამაშზე გამოხატა, რომელმაც ჰაერში ამხტარმა ფეხი წინ გასწია და ამით დამცველს ხიფათი შეუქმნა. საბედნიეროდ, შენგელია არ დაშავებულა, დეტროიტელებმა კი მსაჯისგან ნაბოძები საჯარიმო სროლები შეირგეს და თამაში გამარჯვებამდე მიიყვანეს.

შენგელიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე გატარებულ 24 წუთში 5 მოხსნა, 2 ქულა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა. ქართველ ფორვარდს თამაშიდან სროლები არ წაუვიდა – თორნიკემ 4-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, 3 სამიანი კი ააცილა. ბრუკლინელთა შორის 17 ქულით საუკეთესო ტაიშონ ტეილორი იყო, ხოლო გასულ დრაფტზე 22-ე ნომრად აყვანილმა მეისონ პლუმლიმ შეხვედრა 14 მოხსნით და 10 ქულით დაასრულა.

მომდევნო შეხვედრას „ბრუკლინი“ 8 ივლისს, „მაიამის“ წინააღმდეგ გამართავს, 10-ში „იუტას“ ეთამაშება, ხოლო 11-ში – „ჰიუსტონ როკეტსს“.

ფეხბურთი

მვედეთი. აისვენსკა

მალმიო-გეფლე	3:1
აიკი-ჰეკენი	2:0
სირიანსკა-ჰალმშტადი	1:2

ნოჰვეგია. ტიპეიგა

ტრომსო-მიოლდე	2:3
რუსენბორგი-ლილესტრიომი	1:0
ულფი-სტარტი	3:1
სარპსბორგი-ოდ გრელანდი	0:1
ვალერენგა-ვიკინგი	2:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ვპს-ინტერი	1:2

ინტერელთა ორივე გოლი ირაკლი სირ-

შედეგები

ბილაძემ გაიტანა

მატიეჰამნი-იარო	0:0
ჯჯკ-ჰონკა	1:0

იჩლანდია. ჰიემიეჰ დივიზიონი

დროჰედა-შელბურნი	0:0

აშშ. მლს

ჩიკაგო-კანზასი	1:2
კოლამბუსი-პორტლენდი	1:0
ლოს ანჯელესი-დალასი	2:0
კოლორადო-დ.ს.იუნაიტედი	0:0
მონრეალი-ჩივასი	1:1

ბრაზილია. სეჰია ა

ბაია-კორინთიანსი	0:2
გოიასი-ვიტორია	1:0
ინტერნასიონალი-ვასკუ	5:3
სან პაულუ-სანტოსი	0:2
ატლეტიკო(მ)-კრისიუმა	3:2
ბოტაფოგო-ფლუმინენსე	1:0

ჩიგბურთი

უიმბლდონი

ჯაცები

ფინალი

ჯოკოვიჩი-მიურეი 4:6;5:7;4:6

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

ლაშა ბულაძე: „გვიშველეთ, ბატონო მიხეილ!“

ეკა ირემაშვილი

მწეხალთა ლაშა ბულაძემ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს წერილი მისწერა, რომელიც ადგილობრივ „თავისუფლების“ ინტერნეტ საიტზე ხუბრიკაში „პარალელური ხელობა“ უკვე გამოქვეყნებულია.

„ახალი თაობა“ ლაშა ბულაძის წერილს საქართველოს პრეზიდენტისადმი უცვლელად გთავაზობთ:

„ბატონო პრეზიდენტო, არც კი ვიცი, როგორ მოგმართოთ... ძალიან მერიდებოდა თქვენთვის ამის მოწერა, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს, კადნიერება უნდა გამოვიჩინო და შველა გთხოვოთ. თქვენს მეტი ვერავინ გაგვიგებს. ეს პრობლემა უშუალოდ მე და ჩემს ოჯახს გვეხება და ამიტომაც გაწუხებთ... მე თქვენი პარტიის წევრი ვარ ფაქტობრივად დღიდან მისი დაარსებისა (თქვენგან მარცხნიდან ოცდამერვე ვარ პრეზენტაციაზე. არსებობს ამის ფოტომასალა), ჩემი მეუღლე და ქალიშვილები კი უკვე წლებია გეთაყვანებიან. მე საკრებულოში ვიბრძვი ჩვენი საერთო იდეალებისთვის და ძალ-ღონეს არ ვიშურებ, წინ წავწიო ჩვენი ქალაქი თუ ჩვენი საზოგადოება... უნდა გვიშველოთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ერთი სიტყვაც კმარა და ეს საქმე მოგვარდება. გიგიც ჩავაყენე საქმის კურსში და გარკვეულ ეტაპზე თითქოს დაგვეხმარა, მაგრამ შედეგი მაინც ვერ იყო მთლად იდეალური – მარილის მოყრა აკლდა, ასე ვთქვათ... ვერ წარმოიდგენთ, როგორ მერიდება ამის თქმა, მაგრამ უნდა გავკადნიერდე, უნდა დავძლიო სიმორცხვე და შეწევნა გთხოვოთ... როგორც თქვენმა თანაპარტიელმა, როგორც თქვენი იდეების ქომაგმა, როგორც ერთმა რიგითმა პატრიოტმა, როგორც თქვენმა პრინციპულმა მიმდევარმა... ვიცი, თუკი თქვენ ჩაერევით, ეს საკითხი გადაწყდება (გიგიმ ვერ მიშველა, თუმცა ეცადა). უმორჩილესად გთხოვთ – როგორც თქვენზე უფროსი ასაკით და როგორც თქვენზე უმცროსი მოქალაქეობრივი მრწამსით... ბატონო პრეზიდენტო, ბატონო მიხეილ, გამათხოვებინეთ ჩემი უმცროსი ქალიშვილი!

მთელი საკრებულო ფეხზე ვდგავართ (აკი მოგახსენეთ, გიგიმაც იცის-მეთქი ჩემი პრობლემა), მკვდრები ვყრივართ მე და დედამისი... შარშან, არჩევნებამდე ნამდვილად გვქონდა გარკვეული მოლოდინი – მშვენიერი ახალგაზრდა ყმაწვილი უგზავნიდა ყოველმხრივ გადამოწმებულ მესიჯებს („ძალიან სიმპათიური ხარ“, „როგორი მუსიკა გიყვარს?“, „ახალაშენებული ბათუმი თუ მოგეწონა?“ და მისთ.), მაგრამ 1 ოქტომბრის მერე თითქოს მიწამ ჩაყლაპა... მოგვიანებით კუკავას პარტიაში მოუკრავთ თავი. ასე მითხრეს. დაიდება ეს მესიჯები, ყველაფერი დაიდება, მაგრამ ჩვენ რა ამით! ბავშვს დასაწუნი არაფერი აქვს, მაგრამ ხომ იცით, მშობელი მაინც სხვანაირად უყურებს ამ საკითხს... გული მიკვდება, როცა ვუყურებ, როგორ თხოვდება ზოგი ორჯერ და სამჯერ და ბავშვი ასე მიზის მომლოდინედ... ამ დროს არაა პატარა. ახლა თუ გიგიგო, რომ თქვენ მოგმართავთ ასეთი თხოვნით, მეც მომკლავს და დედამისსაც, მაგრამ ვიცი, თქვენ თუ მოინდომებთ, თქვენეული შემართებით და ნიჭიერებით, ხელად მოვაგვარებთ ხსენებულ პრობლემას... იგივე ადმინისტრაციაში შეიძლებოდა გაკითხვა. გავკადნიერდი და დაცვაშიც მოგინიშნეთ რამდენიმე ახალგაზრდა. ბარნოვიც მომწონს, კარგი ყმაწვილია... მაღალია? არ ჩანს ტელევიზორიდან. ცოტა მოსული უნდა იყოს ტანად. ცოლი თუ ჰყავს? ვეღარ მოვაღწიე ბრიფინგამდე...

გვიშველეთ, ბატონო მიხეილ, ეგებ რამე გაგვიხერხოთ ოქტომბრამდე! ამ ზამთარს ვეღარ გადავიტანთ, შარშან იმედიანად მაინც ვიყავით... გიგი ძალიან ეცადა, მაგრამ არ გამოვიდა (ერიდებოდათ მაგის ბიჭებს თუ რა იყო, არ ვიცი). ვაშაძესაც მივმართეთ და იმან, ვერ დავუკარგავ, რეესტრიდან მოგვიჩინა ძალიან ყურადღებიანი ყმაწვილი, თუმცა... სექსის დონეზე იყო მხოლოდ, რაც ნამდვილად მიუღებელი გახლდათ ჩვენთვის... ბავშვები ხომ არ ვართ. იყო სხვა კანდიდატურაც (არ დავასახელებ, ვინ გვირჩია, თავად მიხვდებით), მაგრამ ფარულ ჩანაწერებში ამოვიცანით მერე... ოღონდ მხოლოდ ზედა ტანით. ქვედა მგონი არ იყო მთლად მისი... ჰყოლია უკვე საყვარელი. ესტრადის სფეროდან...

ახლა მხოლოდ თქვენს იმედად ვართ, ბატონო მიხეილ! მოინდომეთ, თქვენ რომ იცით, ისე... ერთი საათის საქმეა ეგ. უცებ მოინახება ვინმე სათანადო. თორემ გვიტევენ, ბატონო პრეზიდენტო, „ოცნებიდან“ გვიტევენ ფაქტობრივად ყოველდღიურად... უკვე მოდის მესიჯები... „რა მუსიკა გიყვარს? ბერას თუ უსმენ?“, „უყურე გუშინ საგანელიძეს?“ და მისთ. უნდა ნახოთ, რა ხალხი გვყავს მოქსეული... ამ დროს, არ მინდა ეს სისხლის აღრევა ჩვენს ფრაქციაში, არ დამთავრდება კარგად ეს ამბავი... მაგრამ ძნელია გაძლება, ბატონო მიხეილ, გვიჭირს დგომა, ჰორმონები თავისას შვრებიან, ბავშვს ძლივს ვაკავებთ... იმ დღეს გვეუბნება: „ძალიან მომწონს მარგველაშვილის ჰაბიტუსი!“ მეთქი, მოვკლავ ახლა ამ არანორმალურს, მაგრამ რა ვქნა, როგორ ვებრძოლო ბუნებას? თან უთქვენოდ! თან არჩევნების მერე! გაგვტეხავენ, ბატონო მიხეილ, თუკი დროულად არ ჩაერევით! კოკი ხომ არ ვარ! წილის გაყიდვას ხომ არ გთხოვთ! წმინდა საქმეზე გაწუხებთ! გედევან ფოფხაძეც მოეწონა იმ დღეს... ვიღუპებით, ბატონო მიხეილ, გვიშველეთ! რატომ უნდა გადაგვიბირონ! რა გვჭირს ამათი გადასაბირებელი!“

როდის გაიხსნება მარაბდის აკადემია?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვარი ილო პატაშური და სხვები და სხვები. საღამო გვიან ღამემდე გაგრძელდა. ჩვენ ყოველ წელს საღამოს ვატარებთ ამ ღონისძიებას, სანთლებს ვანთებთ ხოლმე, მაგრამ უსინათლობა არც კი გვიგრძნია. ტრიალ მინდორში ხდებოდა ყოველივე ეს, პოლიციის მანქანებიდან შუქი ისე მივმართეთ, თითქოს იმთავითვე ასეთი განათება იყო ჩაფიქრებული, თითქოს პროჟექტორების მოძრაობა არისო და ამ შუქზე ცეკვავდნენ თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონები და შავ ჩოხებში გამოწყობილი ბიჭები. იმდენად ეფექტური გამოვიდა ეს ყველაფერი, რომ მომავალ წელს ასეთ განათებას შეგნებულად გამოვიყენებთ. ჩვენ მიერ გადაღებული ფოტოსურათებიც ქმნიან წარმოდგენას, თუ როგორ ზეიმობდა მადლიერი ქართველი ხალხი 5 საუკუნის წინ გადახდილ მარაბდის ბრძოლის დღეს მამულისათვის თავდადების სიმბოლოდ რომ იქცა და ეს არის მისი უდიდესი ზნეობრივი მონაპოვარი, ბრძოლისა, რომელმაც შვა 9 ძმა ხერხეულიძე, 9 მაჩაბელი, 7 ჩოლოყაშვილი და 10.000 გმირი ქართველი, რომელიც ქართულმა დედაეკლესიამ წმინდანებად შერაცხა 9 ძმა ხერხეულიძესთან, მის დასთან და დედასთან ერთად. რაკი 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალი სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული და ამაში ჩვენ დავრწმუნდით მთელი ამ 6 წლის განმავლობაში, ჩვენ დავაყენეთ ოფიციალურად საკითხი, პრესაშიც გამოვაქვეყნეთ და მთავრობაშიც შევიტანეთ განაცხადი, რომ 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალი გადმოგვეცეს ჩოხოსნებს მხოლოდ და მხოლოდ მოსავლელად და საპატრონოდ. იქ ვაპირებთ მარაბდის აკადემიის გახსნას საზოგადოებრივ საწყისებზე. ჩვენი ეს წერილი იუსტიციის სამინისტროს გავუგზავნეთ, მან თავის მხრივ უკვე გადაუგზავნა გასულ თვეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ეროვნულმა სააგენტომ რამდენიმე დღის წინ ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრს და ახლა გვპირდებიან, რომ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იქნება პასუხი. ორიოდე კვირაში მივიღებთ პასუხს და გავაგრძელებთ მოძრაობას ამ მხრივ.

– როდის გაიხსნება მარაბდის აკადემია?

– დიდი სურვილი გვაქვს შემოდგომაზე გაიხსნას მარაბდის აკადემია და პირველი ღონისძიება იქნება რუსთაველის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ მომზადებული თემატური საღამო რეზო ინანიშვილის ნაწარმოების მიხედვით „რაინდის სახე ქართულ ლიტერატურაში“. ჩვენს მოთხოვნას, 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალის და მიმდებარე ტერიტორიის მოსავლელად გადმოცემისთვის, 19 ცნობილი მოღვაწე აწერს ხელს. დარწმუნებული ვარ, მარაბდის მემორიალის საკითხი დადებითად გადაწყდება და ეს ადგილი გახდება ნამდვილი მარაბდის აკადემია. ნუ გამიმტყუნებთ, პლატონს რომ ჰქონდა ბაღი, იმ ბაღს ერქვა აკადემია და ჩვენც გვინდა გვქონდეს მარაბდის აკადემია. მოწვეული იქნებიან ცნობილი პროფესორები, მწერლები, მსახიობები და ეს გადაიქცევა საშემოდგომო და საგაზაფხულო ისეთ ადგილად, როგორიც შეეფერება ჩოხოსან რაინდთა დასის ისტორიას და თქვენ იცით, რომ ჩვენ ამას გავაკეთებთ. აკადემია იქნება საზოგადოებრივ საწყისებზე, გამოცხადდება, რომ სექტემბრის ბოლო რიცხვებში ჩაატარებს ესა და ეს სკოლა ღონისძიებას, ყველანი შევიკრებებით, წავალთ და მოვუსმენთ მათ, მერე უკვე როცა შევძლებთ იქ ჭიშკარიც შეიკიდება, სინათლეც გავა, წყალსაც გავიყვანთ და სკამებიც გაკეთდება. ამ ყველაფერს უკვე სერიოზულად მივხედავთ. ორი დარაჯი უნდა დავაყენოთ სოფლიდან, ჯიხურსაც ჩავდგამთ და რაც მთავარია, ის მემორიალი, რომელიც აბსოლუტურად დამახინჯებულია, უნდა მოწესრიგდეს. ლადო ასათიანს რომ აქვს ცნობილი ლექსი ყაყაჩოებზე, ის არის ამოტვიფრული, მაგრამ სულ გადაშლილია. ჩვენი მეგობარია მოქანდაკე დუხუ ქობალია, რომელმაც თთაწმინდაზე დიმიტრი ყიფიანის ტუჩმოტეხილი ბიუსტი გამიკეთა. მთავარია მოგვცენ საპატრონოდ და ყველაფერს მივხედავთ.

არლონდ გეგეჭკორი, პროფესორი:

– წელს პირველად ვიყავი მარაბდობაზე, სულ მიწვევდა ბატონი გოგი, მაგრამ უდროობის გამო ვერ ვახერხებდი. ჩოხოსანიც ვარ და ვიცი, რომ ბევრი საინტერესო ღონისძიებები ტარდება. სრულიად გულწრფელად ვლაპარაკობ, როგორც მოქალაქე, რომ გოგი დოლიძე უდგას სათავეში ბევრს საინტერესო და პატრიოტულ წამოწყებებს. დროისა გამონახვა მიჭირს, თორემ ყველგან სიამოვნებით ვივლიდი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მოქმედი პროფესორი ვარ და ბევრი ფუნქცია მაქვს. ქართულ ყოფაში რთულია მოქმედი მეცნიერის ყოფა. ვიცი, რომ უკვე მეექვსედ ჩატარდა მარაბდობა, ბატონმა გოგიმ დასკვნითი სიტყვა მომანდო და იქაც აღვნიშნე, რომ ეს განსაკურებით ახალგაზრდებისთვის ყოვლად აუცილებელი და საჭიროა. თუ ეროვნული ფესვები ამ პატარა ქვეყანამ არ შეინარჩუნა და არ გაითავისა ის, რაც სამი ათასი წლის მანძილზეა შენარჩუნებული, მაშინ არაფერი გამოვა. მამული, ენა და სარწმუნოება არის მთავარი ჩვენი ერისთვის. ბატონმა გოგიმ კარგად იცის ჩემი საქმიანობა, 5 კონტინენტზე 8 უნივერსიტეტში მიწვეული პროფესორი ვარ, ამ ყველაფერს ვუყურებ აბსოლუტურად გლობალური გადასახედიდან და ვარ ობიექტური. საქართველო ბევრი რამით არის გამორჩეული ქვეყანა. როდესაც ინგლისურენოვან გამოცემებში პირდაპირ არის მითითებული, რომ ბევრი რამის საწყისი საქართველოა.

– კონკრეტულად რისი?

– იქ პირდაპირ არის მითითებული ქართული ფუტკარი. ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაცია არის ნომერ პირველი მსოფლიოში. ეს იწერება ინგლისურ პრესაში. 32 წელი ტელევიზიაში გადაცემებს ვაკეთებდი და ყველაფერი ზედმიწევნით ვიცი. ინგლისურენოვან წყაროებში ასევე წერია, რომ თაფლის ნარჩენები ყველაზე ძველი მსოფლიოში არის საქართველოს ტერიტორიაზე. რაც შეეხება ვაზის მოშინაურებას, სამხრეთ კავკასია და ჩრდილოეთ ირანი არის შემოხაზული და ეს ლაქა მსოფლიო რუქაზე სულ უფრო ვიწროვდება საქართველოს სასარგებლოდ. მესამეა ხორბალი, ის ხორბალი, რომლისგანაც კაცობრიობამ მიიღო საკვები პურ, მისი პირველი მოშინაურება მოხდა საქართველოში. ამას დავუმატოთ ქართული კულტურა. ასეთი გადახვევა იმიტომ გავაკეთე, რომ უძველესი ერი ვართ და გაფრთხილება სჭირდება ჩვენს სიმდიდრესა და კულტურას. ეს პოლიფონია, ეს ცეკვა და სიმღერა, რაც ჩვენი კულტურის ნაწილია, არაჩვეულებრივად იყო წარმოდგენილი მარაბდაში. ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. კოტე მარჯანიშვილის დონეზე, სტურუას დონეზე, ჩხეიძის დონეზე, ძალიან ჰარმონიულად იყო გაკეთებული ღონისძიება და მადლობა ამისთვის ინიციატორებს.

ეკა ირემაშვილი

საქართველო რუსულ-ქართულ პოეტურ ფესტივალს უმასპინძლებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ეკლესიის ეპარქიის კულტურის ცენტრი „აიართუნი“ ჩატარდება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის არსენ ერემიანის კრებულის „დამიძახე, როგორც შვილს“ პრეზენტაცია. ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გათამაშდება თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სპექტაკლის „შარვლიანი ღრუბელის“ პრემიერა, რომლის რეჟისორიც ავთანდილ ვარსიმაშვილია, – აღნიშნავს ნინო წითლანაძე.

20 ივლისს ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება მრგვალი მაგიდა ლიტერატურული თარგმანის საკითხების შესახებ, მოეწყობა კრებულ „გზაჯვარედინის“ პრეზენტაცია, მისი წამყვანები შოთა იათაშვილი (საქართველო) და ბახით კენჟეევი (კანადა) იქნებიან.

– კინოთეატრ „აპოლოში“ გაიმართება შემოქმედებითი შეხვედრა დათო ტურაშვილთან და მისი წიგნის „დოდოს მოლოდინში“ პრეზენტაცია. ასევე ნაჩვენები იქნება ფილმი „სიყვარული აქცენტით“, რომლის სცენარის ერთ-ერთი ავტორიც დათო ტურაშვილია, რეჟისორი კი რეზო გიგინეიშვილი. 20 ივლისის პროგრამას დაასრულებს ბათუმის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გამართული კონცერტი „ჯაზური ტრანსფორმაციები“ ანდრეი მაკარევიჩის მონაწილეობით, – განმარტავს ნინო წითლანაძე.

21 ივლისს ფესტივალის მონაწილეები ზუგდიდში გაემგზავრებიან, სადაც დაგეგმილია დადიანების სასახლის დათვალიერება. 22 ივლისს კი ფესტივალის მონაწილე უცხოელი სტუმრები საქართველოდან გაემგზავრებიან და ფესტივალიც დასრულდება.

ეკა ირემაშვილი

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 2. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 3. ნყალში გახსნილი საღებავებით შესრულებული ნახატი; 4. კუროსავას მხატვრული ფილმი ტოსირო მიფუნეს მონაწილეობით; 7. ქართული ლუდი; 8. ისტორიული სოფელი მცხეთის რაიონში; 12. თევზის საჭერი მოწყობილობა; 14. დახურული ტიპის მსუბუქი ავტომობილი; 16. ქალაქი იმერეთში; 17. ზომიერება, მომჭირნეობა ხარჯვაში; 19. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 20. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი.

თარაზულად: 5. ევერესტის დამლაშქრავი ქართველი ალპინისტი; 6. აგრესიის განუხრელი გაფართოება, გაძლიერება; 9. ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 10. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი უძველესი ქართული ჯიში; 11. ზმნის ახლანდელი დრო გრამატიკაში; 13. ნომრით აღნიშნული კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოები; 15. ძლიერი წყრომა, გაჯავრება, აღშფოთება; 18, ქართველთა სახელწოდება მაჰმადიან ხალხებში; 21. ფარისეველი, პირფერი, ქლესა ადამიანი; 22. ზამთრის თვე; 23. კურორტი ბორჯომის რაიონში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ვაზელინი; 8. პიპეტი; 9. გლოსატორი; 11. პრემია; 12. პირატი; 14. ნატურა; 15. პიმიენტი; 20. ლიმიტი; 22. პანდორა; 23. კივი; 24. ირიდიუმი; 25. სარი; 26. ვასალი; 27. ცინკი.

შვეულად: 1. პასტა; 2. ინდოლი; 4. ლიგნიტი; 5. კატერი; 6. ნიკოტინი; 7. ლილიპუტი; 10. არარა; 12. პატრული; 13. იმამატი; 16. ლირიკა; 17. ადონისი; 18. კარატი; 19. მირაჟი; 21. მარტი.

სკანვორდის პასუხები:

1. სტილეტი; 2. არია; 3. ეტლი; 4. ეტი; 5. ამინ; 6. მასნე; 7. მაისი; 8. მელა; 9. სე; 10. სარანდონი; 11. იანსენი; 12. სონეტი; 13. ერისიონი; 14. პიტ; 15. კანაპე; 16. ეპოპეა; 17. ევერესტი; 18. კოკაინი; 19. პელიკანი; 20. საპონი; 21. ციტრატები; 22. ტენგე; 23. კოლაჟი; 24. აული; 25. კლიო; 26. კამპანია; 27. კიი; 28. ლანდი; 29. იონი; 30. არკა; 31. ტარიელი.

სურათებზე: ენჟი ევენჰარტი; მიგელ ლოპესი.

ექსტრემალური სიცხე იაპონიაში: 900-მდე კაცი სითბური დარტყმით ჰოსპიტალიზებულია

იაპონიაში იზრდება ძლიერი სიცხის შედეგად დაზარალებულთა რიცხვი, რომლის შედეგად მინიმუმ ერთი ადამიანი დაიღუპა. ორშაბათს, სითბური დარტყმისგან ჰოსპიტალიზებული ადამიანების რიცხვმა **893**-ს მიაღწია, აცხადებს ადგილობრივი ტელევიზია სახანძრო სამსახუზე დაყრდნობით.

მისი მონაცემებით, ჰოსპიტალიზებულთაგან შვიდი, გონდაკარგული მძიმე მდგომარეობაშია. ვრცელდება ინფორმაცია მოსწავლეების მასობრივ ჰოსპიტალიზაციაზე, რომლებიც ღია სივრცეში გამართულ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ

იაპონიის მთავარმა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა, ორშაბათს, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელი ძლიერი სიცხის

შესახებ გაფრთხილება გაავრცელა. **927**-დან **94** სადამკვირვებლო პუნქტში ტემპერატურამ **35** გრადუს ცელსიუსს გადააჭარბა.

იამანასის პრეფექტურაში ტემპერატურა **38** გრადუს ცელსიუსამდე აიწია, გუმას და გიფუს პრეფექტურებში **37** გრადუსამდე, ტოკიოში **35** გრადუსზე მაღლა. ჰოსპიტალიზებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირებულია კუნძულ ჰონსიუს აღმოსავლეთში და მის ცენტრალურ რაიონებში.

მეტეოროლოგები აფრთხილებენ, რომ მაღალი სიცხე კვირის ბოლომდე მაინც შენარჩუნდება.

ყაზახეთის პრეზიდენტი გაღადგომისთვის ემზადება

ყაზახეთისა პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი პოსტიდან მიდის. **6** ივლისს ნაზარბაევმა **73** წლის იუბილეზე და დედაქალაქ ასტანის (ყოფილი ცელინოგრადი) **15** წლის ზეიმზე აღნიშნა, რომ დიდი ხანია შემცველლზე ფიქრობს.

ნაზარბაევმა ოფიციალური განცხადება არ გააკეთა, თუმცა აღნიშნა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური მოღვაწის ვალია დროულად მოამზადოს ღირსეული მემკვიდრე.

როგორც დასავლური მედია იუწყება, ნაზარბაევის განცხადებამ გარკვეული შეშფოთება გამოიწვია რუსეთში. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სასწრაფოდ მიატოვა უნივერსიადა **2013** და ასტანაში ჩავიდა, სადაც ნაზარბაევთან „უჰალსტუხო“ შეხვედრა გამართა.

ორი ლიდერის შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება და შესაბამისად, უცნობია საბოლოოდ რა გადაწყვეტილება მიიღო ნაზარბაევმა.

ნურსულთან ნაზარბაევი ყაზახეთის პრეზიდენტია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ქვეყნის მიერ **1991** წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან.

1984 წელს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა, დინმუხამედ კუნაევის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელიც იმჟამად ყაზახეთის კომპარტიის პირველი მდივანი იყო. **1989-91** წლებში ყაზახეთის კომპარტიის პირველი მდივანი იყო. დიდი ხნის განმავლობაში თავს ათეისტად წარმოადგენდა, თუმცა **1990**-იან წლებში ხაზს უსვამს მის მუსლიმანურ წარმომავლობას, ამავე დროს ყაზახეთში ისლამისტური ტერორიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს.

კადიროვმა შეიარაღებული მებრძოლების ლიდერის სიკვდილის შესახებ გამოაცხადა

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერის რამზან კადიროვის განცხადებით, ჩეჩნეთის სამხრეთით მაღალმთიან რაიონში შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერი რუსტამ სალიევი მოკლეს.

მისი თქმით, სალიევი, რომელიც ფსევდონიმ „აბუ მუსლიმის“ სახელით არის ცნობილი, დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა, სადაც **15-20** შეიარაღებული მებრძოლია გაერთიანებული. „ბი-ბისის“ ინფორმაციით, ოპერაციაში მონაწილე პოლიციელები არ დაზარალებულან.

„ჩეჩნეთის მთებში განადგურებული ჩრდილოკავკასიელი მებრძოლი რუსტამ სალიევი დოკუ უმაროვთან დაახლოებული იყო და წვრთნას საქართველოში გადიოდა“, – ინფორმაციას ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის ნაციონალური ანტიტერორისტული კომიტეტი ავრცელებს.

„სალიევი დოკუ უმაროვთან დაახლოებული პირი იყო და **2008 – 2011** წლებში უმაროვის პირადი დაცვის ფუნქციასაც ასრულებდა“, – იუწყება ანტიტერორისტული კომიტეტი.

მათივე ინფორმაციით, ის წვრთნას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტერორისტულ ბანაკში გადიოდა.

„**1999-2001** წლებში სალიევი სწავლებას საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ბოევიკთა ბანაკში გადიოდა. სადაც ძირითადად ის ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებებს სწავლობდა“, – იუწყება ანტიტერორისტული კომიტეტი.

სნოუდენის გამო, რუსეთში ბარაკ ობამას ვიზიტი შესაძლოა ჩაიშალოს

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი იმ ქვეყნებს შორის არ არის, რომლისგან თავშესფრის მიღებას გაქცეული ამერიკელი ჯაშუში ედვარდ სნოუდენი ითხოვს, მოსკოვის აეროპორტ „შერემეტიევოში“ მისი ყოფნა დიდ საფრთხეს უქმნის აშშ-სთან დიალოგს. როგორც „ნიუ იორკ თაიმსს“ უცნობმა ამერიკელმა მაღაჩინოსნებმა განუცხადეს, ბარაკ ობამამ შესაძლოა უარი თქვას რუსეთში ვიზიტზე „დიდი ოცეულის“ სამიტამდე, თუ სნოუდენი ამ პერიოდისთვის კიდევ იქ იქნება.

„კომერსანტის“ წყაროს ცნობით კი, ასეთი მდგომარეობის არსებობის შესახებ ინფორმაცია რუსეთის ხელისუფლებას დიპლომატიური არხებით მიეწოდა. მისივე თქმით, ვაშინგტონი ღიად ტოვებს დიდი ოცეულის სამიტში ბარაკ ობამას მონაწილეობის საკითხს. ისინი არ გამორიცხავენ, რომ პრეზიდენტის ნაცვლად სამიტს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი დაესწროს.

აშშ-ის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ბერნადეტ მიჰანის განცხადებით კი, სექტემბერში ბარაკ ობამა რუსეთში ვიზიტს აპირებს, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, საუბარი „დიდი ოცეულის“ სამიტს ეხება, თუ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრას.

რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის დიმიტრი პესკოვის განცხადებით კი, კრემლში აშშ-ის ულტიმატუმის შესახებ არაფერი იციან. მისივე თქმით, რუსეთში ობამას ვიზიტისთვის მზადება სრულ მასშტაბებში მიმდინარეობს და ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის ლიდერს საკუთარი გეგმებისთვის არ გადაუხედავს.

ამ ფონზე, ამერიკის დაზვერვის სამსახურების მიერ ევროკავშირის ქვეყნების საელჩოებისა და ორგანიზაციის ოფისების მოსმენის გამო, ამერიკასა და ევროკავშირს შორის კონტრტერორისტული პაქტების დადებას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

ამ დროისათვის ორივე, ევროკავშირი-ამერიკის მგზავრთა სახელების ჩანაწერებისა და ტერორისტთა ფინანსური გადარიცხვების პროგრამის შესახებ შეთანხმებების განხილვა მიმდინარეობს. „ობსერვერის“ ცნობით, ევროპის კომისიის ჯგუფი ამერიკელ ოფიციალურ პირებს ამ შეთანხმებების განსახილველად **8** ივლისს ვაშინგტონში შეხვდება, რათა გაირკვიონ დააკმაყოფილებს თუ არა ამერიკა შეთანხმების პირობებს.

თუმცა, როგორც აღნიშნავენ, ცოტა ხნის წინ გერმანულ და ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ევროკავშირის ოფისების მოსმენების შესახებ საკმაოდ დაძაბულ ატმოსფეროს ქმნის. გამოცემამ გაარკვია, რომ ევროკავშირის შიდა საქმეების კომისარმა სესილია მალმსტრომმა ხუთშაბათს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელსა ჟანეტ ნაპოლიტნოსა და ამერიკის ტერორიზმისა და ფინანსური დაზვერვის სამსახურის დირექტორს დევიდ კოენს წერილი მისწერა, სადაც საუბარია რომ გამჟღავნებულმა ინფორმაციამ შესაძლოა ამ შეთანხმებების დადება შეფერხოს. გამოცემის წყაროს ცნობით, თუ ამერიკა სრულ თანმშრომლობაზე არ იქნება თანახმა, არსებობს რისკი რომ ევროპელმა პოლიტიკოსებმა შეთანხმებები ჩააგდონ.

პირველი შეთანხმება ავიაკომპანიებს ავალდებულებს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ამერიკასა და ევროკავშირს შორის ფრენებზე ყველა მგზავრის მონაცემი მიაწოდონ. მეორე შეთანხმება კი, ამერიკის ფინანსური დაზვერვის წარმომადგენლების, ტერორისტების ფულადი გადარიცხვების დასადგენად, ევროპაში ფინანსურ ტრანზაქციებზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ევროპის კომისია, ცხადია, ამერიკის დაზვერვის სამსახურების მოსმენების შესახებაც აპირებს ამერიკულ მხარესთან საუბარს.

ეგვიპტეში აქციის დარბევის დროს 42 ადამიანი დაიღუპა

ეგვიპტეში, გადაყენებული პრეზიდენტის მუჰამედ მურსის მხარდამჭერი აქციის დარბევის დროს **42** ადამიანი დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ ეგვიპტის სახელმწიფო ტელევიზია ავრცელებს.

მოძრაობა „ძმები მუსულმანებში“ ამტკიცებენ, რომ გვარდიის შტაბის დაცვამ დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნა.

სამხედროები კი აცხადებენ, რომ რესპუბლიკური გვარდიის შენობაზე იერიში „შეიარაღებულმა ტერორისტებმა“ მიიტანეს. ამ შეტაკების შედეგად დაღუპულია ერთი სამხედრო და კიდევ რამდენიმე ადამიანი დაიჭრა.

შეგახსენებთ, რომ ეგვიპტეში მურსის მოწინააღმდეგეები და მომხრეების საპროტესტო აქციებს მართავენ.

ეგვიპტის დროებითმა პრეზიდენტმა ადლი მანსურმა გასულ კვირას განაცხადა, რომ მალე ქვეყანაში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა, თუმცა მას კონკრეტული თარიღი არ დაუსახელებია.

ეგვიპტის უკვე ყოფილი პრეზიდენტი მუჰამედ მურსი ეგვიპტის არმიამ თანამდებობიდან რამდენიმე დღის წინ გადააყენა.

მუჰამედ მურსის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ეგვიპტეში **30** ივნისს დაიწყო, რომელიც შემდეგ შეტაკებაში გადაიზარდა.

ეგვიპტეში მიმდინარე პროტესტების გეოგრაფია ფართოვდება და საკურორტო ქალაქებს აღწევს. თუ ადრე მღელვარებები მხოლოდ დიდ ქალაქებს ეხებოდა ამჟამად უკვე საპროტესტო აქციები ქალაქებში ხურგადასა და შარმ-ეშ-შეიხში გაიმართა.

ეგვიპტური მედიის ინფორმაციით, დემონსტრაციები მშვიდობიანად მიმდინარეობს და ტურისტების დასვენებაზე არ აისახება.

ამავე დროს, ეგვიპტეში უმნიშვნელოვანესი გაზსადენი აფეთქდა, რის შედეგადაც იორდანიას გაზის მიწოდება შეუწყდა. გავრცელებული ინფორმაციით, გაზსადენი აღმოსავლეთ ეგვიპტეში შეიარაღებულმა პირებმა ააფეთქეს. აფეთქება ქალაქ ელ-არიშას მახლობლად მოხდა, რომლის შედეგადაც არავინ არ დაშავებულა.

კომპანია „გაზქომ“ განაცხადა, რომ აღნიშნული გაზსადენით გაზი იორდანიას მიეწოდებოდა და შესაბამისად, იორდანია გაზის გარეშე დარჩება მანამ, ვიდრე მისი აღდგენა არ მოხერხდება.

ბრაზილიელ მუსიკოსს პირდაპირ კონცერტზე ესროლეს: მაყურებელმა მკვლელობა ვიდეოზე გადაიღო

ბრაზილიაში, ცნობილი მუსიკოსი პირდაპირ კონცერტის მსვლელობისას მოკლეს. **20** წლის ფანკის შემსრულებელ დანიელ პელეგრინის ქალაქ კამპინასში (სან-პაულუს შტატი) გამოსვლილას ესროლეს.

მკვლელობის მომენტში საკონცერტო დარბაზი მაყურებლით სავსე იყო, რომელთაგან უმეტესობა მომხდარს ვიდეოზე იღებდა. მოგვიანებით, ერთ-ერთი ასეთი ვიდეორგოლი „იუთუბზე“ განთავსდა და **300** ათასზე მეტი ნახვა დააგროვა.

კადრებში ჩანს, როგორ დგას მომღერალი სცენის კუთხეში და თავის ერთ-ერთ ნაწარმოებს ასრულებს. მოულოდნელად ის წელში იხრება და უკან ვარდება. მუსიკა მაშინვე წყდება, კოლეგები პელეგრინის დასახმარებლად მივარდებიან.

ერთ-ერთი ვებგვერდი იტყობინება, რომ მუსიკოსი მკერდში დაჭრეს. ის საავადმყოფოში მიიყვანეს, მაგრამ ექიმებმა გადარჩენა ვერ მოახერხეს.

პოლიციამ ტრაგედიის გამოძიება უკვე დაიწყო.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

სამშაბათი 9 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.35** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ "**ჭორიკანა**" **17.00** "ჩვენი ეზო" **18.00** დ/ფ "ადამიანი პლანეტა" **19.05** ტ/სერ "**შაგდა ემი**" **21.00** "აქცენტები" **22.00** ტ/სერ "**ნიკატა**" **23.00** "საფეხბურთო დღიური" **23.30** მხ/ფ "**დეკემბრის ბიჭები**" (დ.რედკლიფი) **01.20** "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" I ნაწ. **14.00** დ/სერ. "მეცნიერება ფილმებში" **16.00** დ/ფ "ეგვიპტიდან" **2** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო"

07.30 იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.20** სერ. "**მაფიის ქვრივი**" **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: ,,თამარ გვერდწითელი" **1** ნაწ. (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **4** სერ. **22.00** სერ. "**ლიკვიდაცია**" **23.00** მხ/ფ. "**ბრძოლის წესები**" (ტ.ლი ჯონსი) **01.10** მხ/ფ. "**ვეცხრე ლეგიონი**" (დ. საზერლენდი) (ტიტ.)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**სიყვარული მუზეინერია**" **11.00** სერ. "**იდუმალი ქალი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ვნების უფსკრული**" **18.45** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **20.05** სერ. "**ერთგულების ძალა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** გაცინე და მოიგე. **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** სპექტაკლი - "**ქამუშაძის გაჭირვება**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**აქედანა და შენამდე**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.30** საქართველო არის ესე **14.50** მართლმადიდებლური კატეხეზმი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** მოკ/ფ "**პეიტარი**" **16.40** კონცერტი - ქართული მუსიკის საღამო **18.10** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩვენი ტრაპეზი **19.30** დროის ჩანაწერები **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხეზმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.00** ერთსულოვნების სალონი

8.30 მულტ/სერ ტარაკნები **9.05** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **9.30** მულტ/სერ მისტერ ბინი **10.00** მხ/ფ **იქ სადაც მონსტრები ცხოვრობენ** **12.00** მულტ/ფ ბელის ჯადოსნური სამყარო **14.30** მულტ/ფ კონკია **16.00** მხ/ფ **გაათავისუფლე ვილი** **18.00** მულტ/ფ მუსტანგი **21.05** მულტ/სერ ტარაკნები **21.30** მულტ/სერ ჩიპი და დეილი **22.00** მხ/ფ **სამყაროს უკანასკნელი მიმზი**

7.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **8.00, 9.15** მაღვიძარა **9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 1.00, 3.00** ახალი ამბები **11.00** ფარული კამერა **11.30, 22.00, 0.30, 2.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები" **12.50, 22.20, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **16.00 სერიალი "ეჭორმი" 18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6549	ევრო — 2,1323
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,4799	100 რუსული რუბლი — 4,9809

ამინდის პროგნოზი 9 ივლისისთვის

მალე! მალე! მალე! მალე! მალე! მალე!

სერია „ეს სამყაროა“ „ახალ თაობასთან“ ერთად

ბამბონეებები	რაინდები და ციხე-კოშკები	მწერები და ობობები	მფრინავები	ოკეანეები	პოლარული სამყარო	რეპტილიები	ტროპიკული ტყეები	ზვიგენები

როდის გაიხსნება მარაბდის აკადემია?

საქართველოს ეროვნული გმირის ქალაქა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან ჰაინდთა დასმა ტრადიციია ამა წლის დაარღვია და მარაბდობის სახალხო დღესასწაული აღნიშნა. წელს ამ დღესასწაულზე ეთი სიახლეც გაჟღერდა – ჩოხოსნების მონდომებით შემოდგომაზე მარაბდის აკადემია დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე იქნება დაყრდნობილი.

ჩოხოსნებმა პროფესორ გოგი დოლიძის მეთაურობით 6 წლის წინ აღადგინეს მივიწყებული სახალხო დღესასწაული მარაბდობა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მარაბდაში და მას შემდეგ ყოველი წლის 1 ივლისს ტრადიციულად 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალთან იკრიბებიან როგორც თბილისელი, ისე ადგილობრივი მოქალაქეები, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა, რაც ყველაზე მეტად მისასალმებელი და საიმედოა. „ახალი თაობა“ ჩოხოსნების ამ ღონისძიებებს ყოველთვის აქტიურად აშუქებდა. როგორ ჩატარდა წელს მარაბდობა, ამაზე გოგი დოლიძე გვესაუბრება:

– ზეიმის მონაწილე შემოქმედებითი კოლექტივების სიმრავლით წლევანდელი მარაბდობა ერთობ გამორჩეული იყო. აქ მონაწილეობდა თეთრიწყაროს ფოლკლორული ანსამბლი „გუდარუხი“ იური თავართქილაძის ხელმძღვანელობით, გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „სალაღობო“ ლუიზა დუდაევა-ასილაშვილის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული ანსამბლი „დიდგორი“ მარი ჟღენტისა და თორნიკე ფარსადანიშვილის ხელმძღვანელობით. ლუიზა დუდაევამ კი ფანდურზე შეასრულა სიმღერა საქართველოზე. ეს ყველაფერი ორგანიზებული იყო თეთრიწყაროს ქართული ოცნების შტაბის მიერ. მადლობა ყველას და განსაკუთრებით მადლობა შვიდ მარაბდელ ჭაბუკს. მათი სახელი და გვარიც კი არ ვიცი, მათ არ ევალებოდათ სამსახურებრივად და არ აუღიათ კაპიკი, მაგრამ სამი დღის განმავლობაში თავაუღებლად შრომობდნენ რომ ის სიბინძურე, რაც მთელი წლის განმავლობაში მარაბდაზე გროვდება, მოეგროვებინათ, დაეწვათ და იქაურობა მოესუფთავებინათ. ამიტომაც მათ მარაბდელი ბიჭები დავარქვი, რადგან ზუსტად ასეთია კლასიკური მარაბდელი ყმაწვილი კაცი.

– საღამოში მხოლოდ ადგილობრივი ანსამბლები იყვნენ ჩართული?

– ადგილობრივ ანსამბლებს ემატებოდა ჩვენი დასის 40-კაციანი ბიჭუნათა გუნდი შესანიშნავი მომღერლის და ლოტბარის გოგიტა ბუგიანაშვილის ხელმძღვანელობით და რა თქმა უნდა, ჩვენი ვოკალური ანსამბლი „შავლეგო“, რომელსაც კოტე მიქაძე უდგას სათავეში. ჩვენ კონცერტი დავდგით და ანსამბლების ნომრებს შორის შეკრებილებს მიმართავდნენ პოეტი ვაჟა ოთარაშვილი, პროფესორები მიხეილ ჯიბუტი, არნოლდ გეგეჭკორი, რეზო ბალანჩივაძე, მხატ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ასტროპროგნოზი 9 ივლისისთვის

ვერძი – ცოტა ფული შეინახეთ, სულ ნუ დახარჯავთ. **კურო** – დაწყებულ საქმეს წარმატებით დაასრულებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი პროექტი დიდ წარმატებას მოგიტანთ. **კირჩხიბი** – მიღებული ინფორმაცია კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ლომი** – აკონტროლეთ ემოცია, თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოსვლებისგან. **ქალწული** – არ გარისკოთ, დაფიქრებით იმოქმედეთ. **სასწორი** – ერიდეთ აზარტულ თამაშებს. **ღრიანცალი** – სამსხურში მოსალოდნელია ცვლილება. **მშვილდოსანი** – სიყვარულის დროა, გაერთეთ და იმხიარულეთ. **თხის რქა** – ახალი კონტაქტი საქმის კეთებაში დაგეხმარებათ. **მერწყული** – სამსახურში ახალი ამბები გაგხვდებათ, მოსალოდნელია სერიოზული ცვლილება. **თევზები** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 2. მეწამული ზღვისპირა კურორტი ეგვიპტეში; 3. პოპულარული სათამაშო თოჯინა; 4. ავსტრიელი მწერალი ნოველისტი; 6. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 9. დაქირავებული გამყიდველი მაღაზიაში; 13. საცხოვრებელი მიკრორაიონი თბილისში; 14. ავტომობილების ამერიკელი კონსტრუქტორი; 15. სასახლის სახელწოდება იტალიაში; 17. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 18. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 20. შაქრის ლერწმის არაყი.

თარაზულად: 1. ატმოსფეროში მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 5. კუს ტბის ძველი სახელწოდება; 7. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. სოფელი სიღნაღის რაიონში; 10. ქალაქის თვითმმართველობა; 11. მაღალხარისხოვანი მინა; 12. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 16. სამშენებლო ნარევი; 17. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 19. ურითმო იაპონური ლექსი; 21. ბუდისტთა სამლოცველო; 22. მეფის მრჩეველი ძველად; 23. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 24. საფრანგეთის კინოაკადემიის პრიზი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



რონალდუმ დინამოს აკადემია გახსნა

ოჩი „დინამოს“ მატჩის დღეს, თბილისს მადლობის „ჰეაღის“ პორტუგალიელი ვასსეგავი ჯიშტიანუ ჩონალდუ სტუმრობდა და თბილისის „დინამოს“ დიდმის ბაზაზე ვიტალი დასასელიას სახელობის აკადემია გახსნა.

მასთან ერთად იყვნენ ახლო წარსულში უკრაინელი ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო, საქართველოს ნაკრების ექს-კაპიტანი, ამჟამად საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე და „დინამოს“ პრეზიდენტი რომან ფიფია.

კრიშტიანუ რონალდუ:

– მოგესალმებით. პირველად ვარ საქართველოში და მინდა, მთელ ქვეყანას წარმატება ვუსურვო. მშვენიერი აკადემიაა ევროპული სტანდარტებით და საქართველოს ვუსურვებდი, რომ რაც შეიძლება ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყოლოდეს. ფეხბურთი დიდ შრომას მოითხოვს და ვიცი, ძნელია მშობლებისგან შორს იყო. ამიტომაც კარგია, რომ ასეთი კომფორტული პირობებია ბავშვების საცხოვრებლად.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გიორგი სუხიტაშვილი: „აფხაზეთი რუსეთია?!“

ჯეოსტარის გამარჯვებული გიორგი სუხიტაშვილი „დინამო არენაზე“ განვითარებულ მოვლენებს სოციალურ ქსელში ეხმაურება. „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მომღერალი წერს:

„როცა ტრიბუნაზე მთავრობის წევრები სხედან და მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივარი შემდეგი შინაარსის პლაკატს აგაფარებს სახეზე – „აფხაზეთი რუსეთია“, მაშინ როგორ უნდა იმოქმედოს „სახალხო დიპლომატიამ“, დედა არ უნდა მო...? მაგრამ ჩვენ ხოტოლერანტულები, სტუმართმოყვარე და ლიბერალი ერი ვართ. ახლა მოსკოვის „ცე ეს კა“ დავპატიჟოთ და ისინი სამაჩაბლოს გაგვიპრავებენ ჩვენსავე დედაქალაქში. ცუდი კიდე ის არის, რომ როცა მოუნდათ, მაშინ დაგ..ეს და ჩვენც ვუწყობთ ამაში ხელს. სარჩელს ველოდები და გამოხმაურებას, ნუ ჩაისვრის ის, ვისაც ევალება ეს!“ – წერს გიორში სუხიტაშვილი.

მომღერლის ამ გამოხმაურებას ასევე „ჯეოსტარის“ გამარჯვებული ოთო ნემსაძე გამოეხმაურა და კოლეგას მისწერა:

„მევასები!!! ბოღმა მქონდა თვალებში ამოჩრილი!!! ტვინზე წინ ხელები მისწრებდა!!!“ – წერს ოთო ნემსაძე.

„დინამო არენაზე“ 7 ივლისს მოსკოვის „დინამომ“ და თბილისის „დინამომ“ ამხანაგური მატჩი გამართეს. მატჩის დროს მოსკოვის „დინამოს“ გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე რუსეთის დროშა გამოფინეს, რამაც თბილისის „დინამოს“ გულშემატკივრების ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია. მათ პროტესტის ნიშნად სტადიონის ტრიბუნები დატოვეს.

ინტერნეტში ერთ-ერთი სკამის ფოტოც გავრცელდა, სადაც აღბეჭდილია, რომ მასზე ქართველი გულშემატკივრების ფლაერი იყო დაწებებული წარწერით „აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოა“. მასზე კი საკმაოდ შეურაცხმყოფელი შინაარსის რუსული ფლაერია გადაკრული.

ამ შეხვედრას რუსი დეპუტატებიც ესწრებოდნენ, რამაც ქართული საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. „დინამო არენასთან“ დაპირისპირებაც მოხდა, რის გამოც რამდენიმე ახალგაზრდა დააკავეს.

ეკა ირემაშვილი